

3404

1

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო



დახვეწილ  
ფრანკ კომუნისტთა  
წერილები



სახელგამი  
1949

329.15 (94)  
~~რ 255~~  
329.15  
რ 257

# დახვრევი ჟრანე კოხუნისჯთა ნეკილები

წინასიტყვაღბა ი. ერენბურგისა-  
თარგმანი ნ. აბიანჯვილისა

21967-0  
\* 4.

3404  
K

სახელმწიფო გამომცემლობა  
თბილისი  
1949



d  
1957





## წინასიტყვაობა

მელნით ნაწერი მრავალი წიგნი არსებობს ქვეყნად. ეს წიგნი კი დაწერილია სისხლით — ფრანგი კომუნისტების სისხლით. იგი დაწერეს ადამიანებმა იმ უკანასკნელ უამს, როცა მათ პირისპირ მარტოოდენ სიკვდილი იდგა. მაგრამ არა სიკვდილზე, არამედ სიცოცხლის გამარჯვებაზე მეტყველებს ეს შესანიშნავი წიგნი. იგი მწერალმა როდი დაწერა, იგი დაწერეს მუშებმა და მეზღვაურებმა, სტუდენტებმა და მეშახტეებმა, მაგრამ, ვგონებ, თვით გამოჩენილი მწერალიც ვერ შესძლებს იმ ყველაზე უბრალო და ყველაზე მშვენიერი სიტყვების გამოწვას, რომლებიც აღმოხდება ხოლმე ვმირებს, როდესაც ისინი ეთხოვებიან მჭუხარე, მგზნებარე და მაღალი აზრებით სავსე სიცოცხლეს.


1940 წლის ზაფხულზე ფაშისტებმა გასრისეს საფრანგეთი. ქვეყნის სათავეში იდგნენ მოღალატენი, ისეთი ადამიანები, რომლებსაც ფრანგი მუშების გაცილებით უფრო ეშინოდათ, ვიდრე გერმანელი ჯარისკაცებისა. მმართველი წრეების საფრანგეთმა სამარცხვინოდ დაჰყარა იარაღი. ევროპა თითქოს განწირული იყო: პიტლერელები თარეშობდნენ თხუთმეტ სახელმწიფოში. ჯერ კიდევ საფრანგეთის დარბევამდე ფრანგი კომუნისტები იატაკქვეშ ჩარეკეს; დალაღიესა და რენოს ბატონობის დღეებში მათ გაავსეს საპატიმროები,



საკონცენტრაციო ბანაკები. საფრანგეთი სდუმდა ბორკილებ-  
 გაყრილი. სწორედ ამ დროს აღსდგნენ მისი ნამდვილი პარ-  
 ტიოტები — კომუნისტები. დაიწყო ფრანტირება და პარ-  
 ტიზანთა — **ფტპ-ს** (ასე ეწოდებოდა კომუნისტების მიერ  
 შექმნილ საბრძოლო გაერთიანებას) გმირული ბრძოლა. ამ  
 გაერთიანებას მიემხრნენ არაკომუნისტებიც — უპარტიონი,  
 პათიოსანი კათოლიკები, — მაგრამ **ფტპ** იყო საფრანგეთის  
 კომუნისტური პარტიის მებრძოლი არმია.

ზოგი პარტიზანი იბრძოდა სავოიის, ლიმუზინის, დოფინეს  
 მთებში, სხვები დარჩნენ პარიზსა და ლილში, მარსელსა და  
 ლიონში, ისინი თავს ესხმოდნენ ჰიტლერელ ოფიცრებს,  
 აფეთქებდნენ საწყობებს, ხიდებს, რკინიგზებს, აზიანებდნენ  
 ელექტროსადგურებს, ქარხნებს. პარტიზანებს უერთდებოდ-  
 ნენ პარიზის გარეუბანთა მეღითონეები და ჩრდილოეთით  
 მემალაროელნი, ბრეტანელი მებადურები და ლიონელი ფე-  
 იქრები, მეღვინეები, კლატოზები, სტუდენტები, მეზღვაუ-  
 რები, მეცნიერნი, ოსტატი-ქალები, მხვინელ-მთესველები,  
 მწერლები — მშრომელი, დაუცხრომელი საფრანგეთი.

ასე იყო წინათაც — ხალხი ყოველთვის იცავდა თავის სამ-  
 შობლოს გამცემლებისაგან, წარჩინებულთა და მდიდართაგან,  
 იმათთაგან, ვინც საშველად ეძახდა უცხოელ დამმონებლებს.  
 საფრანგეთის პირველი რევოლუციის წლებში არისტოკრა-  
 ტებმა ევროპული მონარქიის ჯარებთან ერთად იგემეს სან-  
 კიულოტების რისხვა. როცა ტიერმა საფრანგეთი პრუსიე-  
 ლებს მიყიდა, აღშფოთებულმა პარიზმა კომუნის წითელი  
 ღროშა ააფრიალა. 1940 — 1944 წლებში, როცა პეტენი გერ-  
 მანელებთან მუშაობდა, როცა დე გოლის მომხრეები სიტ-  
 ყვებს წარმოთქვამდნენ ლონდონის კლუბებში, როცა ციხე-  
 ში მყოფი ბლიუმი, — მისი პატიმრობა სანატორიუმში დას-  
 ვენებას უფრო ჰგავდა, — ოხრავდა და ფილოსოფოსობდა,



კომუნისტები იბრძოდნენ და თავგანწირულად იღუპებოდნენ ამ სიტყვებით: „დაე სცოცხლობდეს საფრანგეთი!“.

საფრანგეთში არსებობდნენ გოლელთა ფარული ორგანიზაციები, მაგრამ, ასრულებდნენ რა ლონდონის ბრძანებებს, ისინი არაფერს აკეთებდნენ: მათი ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ მხოლოდ ლოდინში გამოიხატებოდა. ამ „მომლოდინე“ ხალხს მოკავშირენი აწვდიდნენ იარაღს. ფრანტირერთა და პარტიზანთა რაზმებს თვალთაც არ უნახავთ ინგლისური ტყვიამფრქვევები ან ამერიკული ავტომატები. ნორმანდიაში მოკავშირეთა არმიების გადმოსხმის შემდეგ გენერალმა ეიზენშაუერმა აღიარა, ფრანტირერები და პარტიზანები თხუთმეტ რეგულარულ დივიზიას უდრიდნენო. მაგრამ არც გენერალმა ეიზენშაუერმა, არც სხვა მისმა თანამემამულეებმა არაფერი არ გააკეთეს **ფტპ-ს** დასახმარებლად. საფრანგეთის ხალხს ყავდა მარტოოდენ ერთი ერთგული მოკავშირე — სტალინგრადის ხალხი: პარიზიდან ძლიერ შორს საბჭოთა ჯარისკაცები მამაცურად ანადგურებდნენ შიტლერულ დივიზიებს.

ყოველგვარი ქურდობიდან, უნდა ითქვას, ყველაზე საძაგელი — მკვდრების გაძარცვაა. ამით არიან ახლა გართულნი გოლელები: ისინი ცდილობენ, **ფტპ-ს** საგმირო საქმეები მიითვისონ. ერთ-ერთი ასეთი ქურდთაგანი, პოლკოვნიკი რემი, ამასწინათ ამხილეს დანაშაულში და იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ თავდასხმა სენ-ესივში ლონდონის კლუბის გოლელებს კი არ მოუხდენიათ, როგორც ის სწერდა, არამედ **ფტპ-ს**.

გმირთა საფლავებს ჯარისკაცები სამხედრო საღამს აძლევენ, ხოლო გამვლენი ქუდს უხდიან. ეს წიგნი — ფრანგი გმირების სამარეა. ჩვენ ქედს ვიხრით მათი ვაჟკაცობის წინაშე, ვამაყობთ მათი თავდადებით. ეს როდია მხოლოდ ხა-





სიათის თვისება, უბრალო სიფიცხე და მამაცობა, — ეს არის შენი საქმის სიმართლეში რწმენის სიმტკიცე. ესპანეთის ინტერბრიგადის ყოფილმა პოლიტკომისარმა, უტპ რაზმის მეთაურმა ანდრე რებიერმა 1941 წელს მოჰკლა ჰიტლერელი ოფიცერი. სიკვდილმისჯილი, იგი სწერდა: „მე შემძლია, მხოლოდ შევიბრალო ისინი, რომლებიც იღუპებიან უიდეალოდ, ან ვისაც იდეალი ჩვენსავით ურყევად არა სწამთო“. აი გასაღები ამ წიგნის გაგებისათვის: თვალწინ ედგათ რა სიკვდილი, კომუნისტები სულით არ ეცემოდნენ, მათ იცოდნენ, რომ უკვდავია ხალხი და უკვდავია ხალხის სიმართლე.

ქაბუკი როლანდ კოში სიკვდილით დასჯის წინ წერდა: „მე თუ ახალგაზრდა ვკვდები, ეს იმიტომ, რომ მიყვარს ცხოვრება და მინდოდა, იგი ყველასათვის მშვენიერი ყოფილიყო“... თექვსმეტი წლის პარტიზანი „გი მოკვს“ რაზმიდან, ანრი ფერტე სიკვდილის წინ სწერდა დედ-მამას: „ჩემი ხელი, მგონი, კანკალებს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ფანქრის ნატეხი მიჭირავს. მე სიკვდილისა არ მეშინიაო“...

რაოდენი სიყვარულია ამ წერილებში! აქ შეიძლება გაიგო, თუ რა არის მოსიყვარულე გულის ნამდვილი უანგარობა: ქმარი ცდილობს ცოლის გამხნევებას და ეუბნება მას, რომ მონახოს სხვა კარგი ადამიანი, ერთგული ამხანაგი; მამა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ფიქრობს თავის ბავშვებზე, როგორ სწავლობენ ისინი, იქნებ ფეხსაცმელი არა აქვთ ან ტანისამოსი. შვილი პოულობს უბრალო და გულითად სიტყვებს, რომ ანუგეშოს დამწუხრებული დედა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კომუნისტები დიდი ადამიანები არიან, მათი სიყვარული თამაში როდია, არც ბრმა ინსტინქტია, არც ეგოისტური გრძნობა. არა, ეს ის სიყვარულია, რაზედაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ოცნებობდნენ პოეტები.



მგზნებარე წერილებით მიმართავენ სიკვდილმისჯილებს თავიანთ ყველაზე დიდ საყვარელს — კომუნისტურ პარტიას. პარტია — ეს არის დიდი ოჯახი, ეს იდეალია, ეს საფრანგეთია, ეს კაცობრიობის მომავალია. მისთვის თანაბრად თავდადებული არიან ხელმძღვანელებიც — გაბრიელ პერი, პიერ სემარი — და ახალგაზრდა კომკავშირელებიც. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას ახლა უწოდებენ „დახვრეტილთა პარტიას“. სამოცდათხუთმეტი ათასი კომუნისტი მოჰკლეს ფაშისტმა ჯაღათებმა. მაგრამ თითოეულის ადგილზე დაირაშენენ ასეულები, და სწორედ იმიტომ, რომ კომუნისტებო თავს არ იზოგავდნენ, კომუნისტური პარტია ახლა საფრანგეთის ყველაზე ძლიერი პარტიაა. დაღუპულ გმირთა აჩრდილები ახლა აღაფრთოვანებენ ახალგაზრდებს გაფიცვებისა და სისხლისმღვრელ დემონსტრაციების დღეებში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ფრანგი ხალხის სასტიკი ბრძოლის დღეებში.

ჭიტლერის გუშინდელმა თანამშრომლებმა შესცვალეს ლექსიკონი. ისინი ახლა რაიჰსმარკებს კი არ ლებულობენ, არამედ დოლარებს, მაგრამ, როგორც ოკუპაციის დღეებში, ისინი ახლაც ყიდიან საფრანგეთს. მათ სურთ, რომ ამაყ ფრანგი ხალხი გახდეს ოკეანისგაღმეღ მტაცებელთა საზარბაზნე ხორცი. ეს არ მოხდება — ამის თავდება საფრანგეთის კომუნისტთა მამაცობა, რაზედაც მოგვითხრობენ დახვრეტილთა წერილები. და ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ფრანგ პატრიოტთა საფლავებთან ვესალმებით საფრანგეთის მომავალს, მის გმირებს, მის კომუნისტებს, მის ხალხს.

სიკვდილის წინ ასობით ფრანგი კომუნისტი წერილებში გამოსთქვამდა თავის რწმენას წითელი არმიისადმი, საბჭოთა კავშირისადმი, სტალინისადმი. ამასწინათ საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ საზეიმოდ განაცხადა, ამერიკელი



იმპერიალისტები ვერასოდეს ვერ შეძლებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ფრანგი ხალხის გარეკვასო. ეს მოწოდება კი არ იყო, არამედ ცნობა: ეს ცნობილია ყოველი ფრანგი პატრიოტისათვის. მე არ ვიცი, წაიკითხეს თუ არა ამერიკელმა საქმოსნებმა ფრანგი კომუნისტების მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წერილები; არა მგონია: ასეთი წიგნებისათვის მათ არა სცალიათ! მაგრამ ჩვენ ვიცნობთ საფრანგეთის საუკეთესო შვილთა ამ წერილ-ანდერძებს, და ამ წიგნთან ვამბობთ: საფრანგეთში ჩვენ გვყვანან მტრები, ისინი ცოტანი როდი არიან — ისინი სიცრუისა და ანგარების ადამიანები არიან, ჯალათები, რომლებიც თავს სოციალისტებად ასაღებენ, და გამცემლები, ამერიკულ კილოზე „მარსელიოზას“ რომ გაიმღერიან; მაგრამ საფრანგეთში ჩვენ გვყავს დიდი მეგობარი — ფრანგი ხალხი. ის იყო ჩვენთან იმ საათებში, როცა გაბრიელ პერი სწერდა თავის უკანასკნელ წერილს. ის იქნება ჩვენთან თავისი გამარჯვების დღეებშიც!

ილია მრმნბუშრბი.

# პ ი ე რ ს ე მ ა რ ი




საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს წევრი, ფრანგ რკინიგზელთა ფედერაციის გენერალური მდივანი; დახვრიტეს გერმანელებმა 1941 წელს. სიკვდილის წინ წერილი მისწერა საფრანგეთის მუშებს და თავის ამხანაგ — რკინიგზელებს.

ძვირფასო მეგობრებო!

ესარგებლობ მოულოდნელი შემთხვევით, რათა გადმოგიგზავნოთ უკანასკნელი წერილი, რადგან რამდენიმე წუთის შემდეგ მე დამხვრეტენ.

სიკვდილს დამშვიდებული ველი; მე დავანახებ ჩემს ჯალათებს, რომ კომუნისტები კვდებიან, როგორც პატრიოტები, როგორც რევოლუციონერები.

ჩემი უკანასკნელი ფიქრები თქვენ გეკუთვნით, ჩემს თანამებრძოლებს, ჩვენი დიადი პარტიის ყველა წევრს, ყველა ფრანგ პატრიოტს, წითელი არმიის გმირულ მებრძოლებს და დიდ სტალინს.



მე ვკვდები და მჯერა, რომ ისინი გაიმარჯვებენ  
ფაშისტებზე, მჯერა საფრანგეთის გათავისუფლება.

გადაეცით ჩემს ამხანაგ-რკინიგზელებს, რომ მათ  
ვუანდერძებ, ნურათფერს გააკეთებენ ისეთს, რაც  
გამოადგება ჰიტლერელებს. რკინიგზელები მე გამი-  
გებენ, დამიჯერებენ. ისინი იმოქმედებენ. მე ამაში  
დარწმუნებული ვარ.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობრებო. ახლოვდება  
ჩემი აღსასრული, ჰიტლერელები მე დამხვრეტენ,  
მაგრამ ვიცი, რომ ისინი უკვე დამარცხებულნი  
არიან, რომ საფრანგეთი შესძლებს განაახლოს  
დიადი ბრძოლა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს საფრანგეთს!

პიერ სემარი

---





„ჰუმანიტეს“ რედაქტორი, პარლამენტის დეპუტატი; დახვრიტეს მონ-ვალერიენში 1941 წლის 15 დეკემბერს.

კვირა, საღამოს 8 საათი:

შერშ-მიდის საპატიმროს მღვდელმა ეს-ეს არის მაცნობა, მე ახლა დამხვრეტენ, როგორც მძევალს.

ძალიან გეხვეწებით, მოითხოვეთ, რომ საპატიმროდან ჩემი ქალაქლები დაგიბრუნონ. ზოგი მათგანი ჩემს თავს კეთილად მოგაგონებთ!

დაე, ჩემმა მეგობრებმა იცოდნენ: მე ერთგული დავრჩი იმ იდეალისა, რომელსაც მთელს სიცოცხლეში ვემსახურებოდი; დაე, ჩემმა თანამემამულეებმა იცოდნენ: ვკვდები იმისათვის, რათა იცოცხლოს საფრანგეთმა.

უკანასკნელად შევამოწმე ჩემი თავი. ჩემი სინდისი დამშვიდებულია. მინდა, თქვენ ყველას გითხრათ: სიცოცხლის თავიდან დაწყება რომ მომიხდეს, მე ისევ აღავე გზას გავყვებოდი.



ღამით დიდხანს ვფიქრობდი ჩემი ძვირფასი მე-  
გობრის პოლ ვაიან-კუტურიეს მართალ სიტყვებზე:  
ის ამბობდა, კომუნიზმი ქვეყნის სიჭაბუკე არისო,  
რომ კომუნიზმი ბრწყინვალე მომავალს ამზადებსო.  
და აი, მე მოვკვდები ამ ბრწყინვალე მომავლის  
მოსამზადებლად.

ჩემი მასწავლებელი იყო მარსელ კაშენი, ამი-  
ტომ სიკვდილს უშიშრად შევხვდები.

მშვიდობით.

გაუმარჯოს საფრანგეთს!

გაბრიელ



# ანდრე რეზინი



საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ფრანტირეთა და პარტიზანთა გაერთიანებული რაზმების მეთაური. შატობრიანში მძევლების მხეცურად გაჟლეტის საპასუხოდ რეზინმა ბორდოში მოჰკლა გერმანელი ოფიცერი. დააპატიმრეს 1941 წლის 15 დეკემბერს, დახვრიტეს 1942 წლის 5 ოქტომბერს.

(ნაწყვეტი უკანასკნელი წერილებიდან)

1942 წლის 13 სექტემბერს

დამშვიდებული შევყურებ ჩემი უკანასკნელი საათის მოახლოებას. ჩემი სინდისი წმინდაა. ჩემი მოვალეობა ბოლომდე შევასრულე.

იმათ, რომლებმაც, შეიძლება, ჩემი საქციელი ვაჟაკურად ჩათვალონ, დაე იცოდნენ: რომ მე მხოლოდ მივბაძე ჩემი ბოლშევიკი-ამხანაგების და, დავუმატებ, აქ გაცნობილ კომკავშირელთა მაგალითს.

მე ვნახე, როგორ წაიყვანეს აპრილის დამდეგს



პოცი და მისი თორმეტი ამხანაგი. იგი უკანას-  
კნელ წუთამდე იყო პასუხისმგებლობისა და თავ-  
განწირულების გრძნობით აღსავსე ხელმძღვანელი.  
ადიდეთ მისი სახელი! მე ვნახე, როგორ წაიყვანეს  
თორმეტი წლის ჰუმბერტ ისიდორი. რა სიმტკიცე!  
როგორი რწმენა იდეალისადმი! ვნახე ჩვიდმეტ-  
წლინახევრის ფელდ მორისი, ნამდვილი ბოლშე-  
ვიკი ოკერი, საფრანგეთის კომუნისტური ახალ-  
გაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის  
წევრი, ისიც ნამდვილი ხელმძღვანელი; ვნახე პო-  
ლიტცერი, ისეთი მამაცი და ისეთი მშვენიერი!  
განა შეიძლება იყო მხდალი, როცა თვალწინ ასეთი  
მაგალითები გიდგას?

... ამხანაგებს ვთხოვ, იზრუნონ ჩემს შვილზე.  
ჩემი ცოლი და დაი ელიზა იქნებიან მისი აღმზრ-  
დელები.

ა. რ.

\* \* \*

უთარილო

ადვილი როდია შებორკილი ხელებით წერა.  
მაგრამ კომუნისტისათვის შეუძლებელი არაფერია.

აი უკვე ცხრა თვეა, რაც დამაპატიმრეს. მაშინ  
არც კი ვფიქრობდი, თუ ამდენხანს ვიცოცხლებდი;  
მე ვნახე დიადი საქმეები, რომლებიც ადასტურე-  
ბენ ჩვენი იდეალის სიძლიერეს. ვნახე გმირები —





მოხუცებიც და ახალგაზრდებიც, ვნახე ცნობილი მეცნიერები; ისინი ერთ უთქმელი მამაცობით შეხვდნენ სიკვდილს.

მადელიზ, დაიხსომე ყველაფერი ეს. მადლობას გიძღვნით ყველას ყურადღებისა და ალერსისათვის, რაც მუდამ მამხნევებდა.

ერთხელ კიდევ გკოცნით ყველას, იყავით მამაცნი, იმუშავეთ შეუპოვრად. იხელმძღვანელეთ დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრებით, ეს საიმედო კომპასია.

გკოცნით, ჩემო ძვირფასებო.


ა. რ.

\* \* \*

1942 წლის 20 სექტემბერი

ჩემო სიყვარულო!

შენდამი წერილის მოწერა იმას ნიშნავს, რომ ერთხელ კიდევ გესაუბრო; ამ სტრიქონებს შენ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მიიღებ, ამიტომ მე უფლება მაქვს სიკვდილშემდგომი სტრიქონები ვუწოდო მათ. მე მაქვს ერთგვარი საფუძველი, რომ შენი მდგომარეობა მაწუხებდეს, რადგან ახლახან დაპატიმრებულმა ერთმა ამხანაგმა, რომელთანაც მიმოწერის გაბმა მოვახერხე, შემატყობინა, რომ მრავალი შენი კოლეგა დაპატიმრე-



ბული ყოფილა... ვისაც უყვარს, ის ყოველთვის  
დარდობს, მე კი შენ ძლიერ მიყვარხარ...

იცი, ჩემი ჯალათები მხოლოდ ფიზიკურად რო-  
დი მტანჯავდნენ, არამედ 23 აპრილიდან 16 ივლი-  
სამდე და ამის შემდეგაც კი მარწმუნებდნენ, რომ  
შენ დაპატიმრებული ხარ. ეს ძალიან მძიმე იყო  
ჩემთვის. მით უმეტეს, შენგან აღარაფერს ვღებუ-  
ლობდი და საშუალება აღარ მქონდა, სიმართლე  
გამეგო. კარგია რომ შენ არ იცოდი, რა მდგომარე-  
ობაში ვიყავი აქ, — შენ ჩემზე უარესად დაი-  
ტანჯებოდი, ჩემო საუნჯევ.

ამხანაგები გიამბობენ, თუ რა გადავიტანე, —  
ერთი იმისათვის რომ გაქცევა ვცადე და მეორეც  
იმისათვის, რომ პირსახოცის ნაწიბურებში შენ-  
თვის გამოსაგზავნი ბარათები მიპოვნეს ჩაკერე-  
ბული. თავი მედგრად მეჭირა, მიხარია, რომ ბედი  
მაინც ვცადე. არ მინდოდა ისე მოვმკვდარიყავი,  
რომ აქედან თავის დაღწევა არ მეცადნა, — ასე  
გვასწავლიდნენ ჩვენ. ჩემი გეგმა ჩაიფუშა, მაგრამ  
ახალი შევადგინე და რამდენიმე კვირა კიდევ რომ  
დამცლოდა, იქნებ, კიდევ მოვახერხებდი...

დარწმუნებული ვარ, ჩემი ჯალათების დღეები  
დათვლილია. მე ვავიგე, რომ დღეს ნაციონალური  
ფრონტის დემონსტრაცია უნდა შესდგეს, რა კარ-  
გია, თუ ამ დემონსტრაციას მეორეც და მესამეც

მოჰყვება და „ლოდინის მოყვარულებს“ აიძულე-  
ბენ, დაიკავონ ხალხის ინტერესებისათვის უფრო  
შესაფერი პოზიცია.

სავსებით დარწმუნებული ვარ: იწყება ბრძოლის  
ახალი ეტაპი, და ის მიიღებს ისეთ ფორმებს,  
რომ ბევრს განაცვიფრებს. როგორ საჭირო იქნე-  
ბიან მამაცი, ძლიერი ადამიანები. და სწორედ ამ  
დროს მე უნდა დავეცე და სამუდამოდ დავიძინო!


ხედავ, ხელებზე ბორკილი მადევს და მაინც  
გარკვეულად ვწერ. და არც ერთოგრაფიის წესები  
დამვიწყნია (მიუხედავად იმისა, რომ ხუთი თვეა  
უწიგნოდ და უქალაღოდ ვარ, და ხელფეხი შე-  
ბორკილი მაქვს).

შენი სიყვარული, ჩვენი სიყვარული, ჩვენი იდე-  
ალი მამხნევებდა და ახლაც მამხნევებს. სულითა  
და გულით გისურვებ, რომ შენც, შენს მღელვარე  
ცხოვრებაში ასეთი ნუგეში არ მოგკლებოდეს.

გიყვარდეს ჩემი შვილი, ელიზა, ყველა ჩვენი  
ახლობელი, ლუი და მარგერიტა, სალამი ყველა  
ჩემს მეგობარს. დაე, ჩემმა უკანასკნელმა კოცნამ,  
ჩემმა უკანასკნელმა ნახმა კოცნამ შეაშროს შენი  
ცრემლები.

მშვიდობით ჩემო ძვირფასო!

გაუმარჯოს ჩვენს იდეალს, გაუმარჯოს კომუნიზმს!  
წინ, სულ წინ, საცაა გათენდება!





\* \* \*

1942 წლის 30 სექტემბერი

მართალი უნდა ითქვას, გაქცევის იმედი თითქმის სულ არა მქონდა, მაგრამ უნდა მესინჯა, რადგან უმოქმედობა (ის ყოველთვის დანაშაულობაა) იმ ხარის პოლიტიკას დაემსგავსებოდა, რომელსაც საყასბოში მიათრევენ.

ყოველგვარი სიფრთხილე ვიხმარე, მაგრამ ჩემი ჰამზადისი მაინც გაიგეს.

კარცერში ჩამაგდეს, გამაშიშვლეს, ჩემი ტანსაცმელი ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, მცემეს და ა. შ. 22-დან 30 აპრილამდე საჭმელს არ მაძლევდნენ. ზუთი დღე ბნელ საკანში მამყოფეს. იმ დილას, როცა იქ შემიყვანეს, მოვიდა გესტაპოს გერმანელი კომისარი (სახეზე ნაჭრილობები აჩნდა) და განმიცხადა: შენი მეგობარი ქალი დავაპატიმრეთო, რომ შენ პოლიტცერთან ერთად პატრიოტთა პირველ შეიარაღებულ ჯგუფს მეთაურობდიო, რადგან პოლიტცერს დაველაპარაკე და ვახსენე იგი იმ წერილებში, პირსახოცის ნაწიბურებში რომ მიპოვნეს. როცა შემეკითხა, პოლიტცერს რატომ ელაპარაკებოდი და გაქცევა რატომ გინდოდაო, მხოლოდ ეს ვუთხარი: „მე კომუნისტი ვარ და საპატიმროში ვიმყოფები-მეთქი“.





\* \* \*

1942 წლის 1 ოქტომბერი, 11 საათი და 30 წ.

ყველა ჩემს მეგობარს.

უნდა ვიფიქროთ, ამჯერად საქმე სერიოზულად არის, ვინაიდან ჩემმა ჯალათმა, უნტერმა, პაპიროსი შემომთავაზა; მე უარი ვუთხარი; მან პაპიროსი ზოგიერთ ჩემს ამხანაგსაც მიაწოდა. მე იგი ჩვეულებრივად სულ სხვაგვარად მეპყრობა, აქედან დავასკვენი, რომ სია, რომელიც მას ხელში ეჭირა, კარგს არაფერს მიქადდა. რა ვუყოთ! დაე, ასე იყოს. იცოდეთ, მე შევძლებ, დავანახო ყველას, თუ როგორ კვდებიან კომუნისტები.

ა. რ.



\* \* \*

1942 წლის 1 ოქტომბერი, 12 საათი

ასეა თუ ისეა, მე მაინც მალე მომაკითხავენ. ერთი პატარა დამახასიათებელი ამბავი, — უკანასკნელი პაპიროსი, — ნებას მაძლევს ვიფიქრო, რომ ჩემი ჯერიც დადგა...

მე უკვე გავეცი განკარგულება ჩემი ოჯახის შესახებ, ამიტომ თავს აღარ შეგაწყენთ; დარწმუნებული ვარ, ჩემი ნება-სურვილის შემსრულებელნი ისე მოიქცევიან, როგორც საჭიროა.

ჩემი ვალია — ანგარიში ჩავაბარო პარტიას ჩემი



უკანასკნელი მოქმედების შესახებ. რაც კი მოვახერხე, ყველაფერი შევატყობინე იმათ, ვინც დაიჭერს ჩემს ადგილს დიადი ბრძოლის ბარიკადაზე. ისინი გამოიყენებენ ჩემს იარაღსა და საჭურველს და სიკვდილი ბოლოს ვერ მოუღებს ჩემს ბრძოლას. მე თითქოს აქაც ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და ვმუშაობდი. პარტია გაიგებს ამას ამხანაგებისაგან, რომლებსაც ვესაუბრებოდი და რომლებიც მხედავდნენ მუშაობის დროს...

ვიმეორებ, თუ შევინარჩუნე მთელი ჩემი სულიერი და ფიზიკური ძალღონე, თუ არ შემიძყრო ავადმყოფურმა აღტყინებამ, თუ არ მომერია ნაღველი, — ამას ვუმადლი ჩემს ნდობას კომუნისტური პარტიისადმი, ჩემს რწმენას ლენინისა და სტალინის მიერ განვითარებული მარქსიზმის გამარჯვებაში; მე შემიძლია მხოლოდ შევიბრალო ისინი, რომლებიც კვდებიან უიდეალოდ, ანდა არ გააჩნიათ იდეალისადმი ჩვენგვარი ურყევი რწმენა...

ა. რ.


\* \* \*

1942 წლის 5 ოქტომბერი

ჩემო ძვირფასო ლიზეტა!

ჩემო პაწაწინა მადელიზეტა და ყველა, ყველა ჩემო მეგობარო!

დადგა უკანასკნელი დღე, ჩვენ შეგვკრიბეს და გვამზადებენ... (ამოშლილია ცენზურისაგან)... ჩვენ



ჩაგვამწყრივეს... (ამოშლილია ცენზურისაგან)... მე ვთხოვ ჩემს ამხანაგებს, — ისეთივე სიყვარულითა და მზრუნველობით მოეპყრან ჩემს ცოლ-შვილს, როგორც ისინი მე მომეპყრობოდნენ. იზრუნეთ იმისათვის, რომ ბავშვებმა... (ამოშლილია ცენზურისაგან) ...რომ ჩემმა ოჯახმა იცოდეს და იყოს ღირსი... (ამოშლილია ცენზურისაგან).

ნახევარი ცხოვრების გზა განვლე და მე არ... (ამოშლილია ცენზურისაგან)... მე ძლიერ ბედნიერი ვარ... (ამოშლილია ცენზურისაგან)... რომ სამარის კართან შემიძლია დავადასტურო ეს და აგრეთვე დავუმატო, რომ მე... (ამოშლილია ცენზურისაგან)... რომ... (ამოშლილია ცენზურისაგან)... ყოველთვის... (რამდენიმე სტრიქონი ამოშლილია ცენზურისაგან)...

ჩემს მრავალრიცხოვან ამხანაგებსა და მეგობრებს მე... (ამოშლილია ცენზურისაგან).

თქვენ, ჩემო მშობლებო, შენ, მადელიზეტა, ჩემო დაიკო, გიძღვნიტ მხურვალე კოცნას და გისურვებთ ყოველგვარ ბედნიერებას; თქვენ ეს დაიმსახურეთ. ნაზად ვკოცნი ბავშვებს, მათშია მთელი ჩვენი ბრწყინვალე იმედები. მადელიზეტა, ჩემო პაწაწა, როგორ მახარებდი შენ! მე ვიცი შენი სიმაჰაცე და დარწმუნებული ვარ, იზრუნებ იმისათ-



ვის, რათა ჩემი სურვილები შესაბამისად შეარქ-  
ლებულ იქნან... (ამოშლილია ცენზურისაგან)...

იმდენი რამ მინდა გითხრათ, რომ აღარც კი  
ღირს წერის დაწყება.

მაგრად, მაგრად გიკრავთ გულში.

ა. რ.

სალამი... (ამოშლილია ცენზურისაგან)... ვი-  
ლაკს, ტერასონს და სხვებს, გუსტავს, ფერნანს და  
ყველას, ვინც მიყვარს.








მემლაროე. საფრანგეთის კომკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ფრანტარეთა და პარტიზანთა რაზმის კაპიტანი; დახვრიტეს არასში 1943 წლის სექტემბერში.

არასი, 1943 წლის 27 აგვისტო

საფრანგეთის დიად კომუნისტურ პარტიას, საფრანგეთის სახელოვან კომკავშირს.


პიტლერელმა ჯალათებმა, რომლებმაც გაუღიტეს ნაციონალური თავისუფლებისათვის ათასობით მებრძოლი, გუშინ სასიკვდილო განაჩენი გამომიტანეს. სხვა არაფერს არც კი ველოდი ამ სისხლისმსმელი მტარვალებისაგან, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით შეესივნენ მსოფლიოს ხალხებს და თავიანთ საკუთარ ხალხს სპობენ ბრძოლის ველებზე, სადაც უკვე ახლოვდება ნაციონალური რეჟიმის დაღუპვა და განმათავისუფლებელი ძალთა გამარჯვება.

რამდენიმე დღის შემდეგ მე დამხვრეტენ; სიკვ-



დილის წინ ერთხელ კიდევ მინდა გამოვთქვა ჩემი სიყვარული დიადი კომუნისტური პარტიისადმი. გმადლობ შენ, პარტიავე, გმადლობ შენ, კომკავშირო, იმისათვის, რომ თქვენ მე თვალი ამიხილეთ და ცოდნა მომეცით, რამაც ხელი შემიწყო ჩემი ხალხისათვის სასარგებლო ადამიანი გავმხდარიყავი. კომუნისტური პარტიის მეოხებით ჩემმა სიცოცხლემ უმიზნოდ როდი განვლო. უდიდეს კმაყოფილებას განვიცდი, რომ ლენინ-სტალინის დიად პარტიაში შესვლის დღიდანვე მთელ ჩემს ძალღონეს ვაღწევდი ომებისა და სილატაკის წარმომშობი კაპიტალისტური წყობილების დამხობას. ვფიქრობ, იმ ბრძოლაში, რომელსაც ეწევა ახლა ჩვენი ხალხი, მეც, საფრანგეთის სხვა ახალგაზრდა შვილებთან ერთად, მივიტანე ჩემი აგური ახალი საზოგადოებრივი წყობის საძირკველთან, რომელიც მოუტანს საფრანგეთს სოციალურ გათავისუფლებას.

ვიგონებ ჩემს განვლილ ცხოვრებას და სიამაყით ვხედავ, რომ მივლია იმ გზით, რაც ჩვენთვის ჩვენს სახელოვან პარტიას დაუსახავს. ვიშის პოლიციასა და ჰიტლერული გესტაპოს ჯალათებს კი სურდათ, რომ მე ასეთი წარსული დამეგმო! ღალატს ასჯერ სიკვდილი სჯობია. საზიზღარ მჩაგვრელებს შეეშინდათ, პირდაპირ ეთქვათ ჩემ-



თვის, რომ ჩვენი მთავარი მტრები კომუნისტები არიან; მათ მიერ მოყენებულმა ტანჯვა-წამებამ მხოლოდ უფრო განამტკიცეს ჩემში რწმენა, რომ კომუნისტები გამათავისუფლებელი მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელები არიან.

სულმოკლე, მხდალი ადამიანები აცხადებენ, პოლიციაში დაკითხვის დროს წამების ატანა შეუძლებელიაო. ნეტავი მათ ჩემი ჩვენებები წაგკითხათ, მაშინ დაინახავდნენ, რომ ვერც მხეცური ტანჯვა-წამებით, ვერც დაპირებებით ჯალათებმა ვერ მაოქმევეინეს ერთი სიტყვაც კი, რაც ჩვენი ორგანიზაციისათვის ოდნავად მაინც საზიანო იქნებოდა.

მიუხედავად ჩემდამი წამოყენებული ბრალდებისა, მე ვამტკიცებდი, რომ იატაკქვეშელებს მხოლოდ სახელებით ვიცნობდი-მეთქი (მათი ნამდვილი ვინაობა, მე რასაკვირველია, არ გამიმხვლია). ლამეებს ვათევდი, სადაც მომიხდებოდა და არ დამიმახსოვრებია არცერთი მისამართი-მეთქი.


მე წამართმევინ სიხარულს — მოვესწრო საბოლოო გამარჯვებას, მაგრამ მაინც მეღირსა ერთი ბედნიერება: გავიგე ბრწყინვალე გამარჯვება წითელი არმიისა, რომელმაც გამირულად გაიღო არნახული მსხვერპლი, და ანადგურებს ჰიტლერულ მიხაკისფერ ჭირს! პატიმრობაში მყოფი



ყველა პატრიოტი განცვიფრებულია, თუ რატომ აქამდე არ გახსნეს ნამდვილი მეორე ფრონტი ევროპაში ინგლის-ამერიკის მოკავშირე ძალებმა. მაგრამ ყველას სჯერა, რომ ჰიტლერიზმი იტალიის ფაშიზმზე დიდხანს ვერ იბოგინებს, იმდენად მტკიცეა ყველას რწმენა სახელოვანი წითელი არმიისა და მისი გენიალური ბელადის სტალინისადმი. მე მინდა ერთხელ კიდევ გამოვთქვა ჩემი ალტაცება საბჭოთა კავშირის მეზრძოლებისა და ხალხისადმი.

თუმცა ჩემამდე ვერ აღწევს ვერავითარი ცნობა, მაგრამ იმ სასტიკი რეპრესიების მიხედვით, რაც თავს დაატყდა მესაბოტაჟეებს, რომლებიც გაურბიან სავალდებულო შრომის ბეგარას, სჩანს, რომ საფრანგეთის ახალგაზრდობა ირაზმება მონობაში გარეკვის წინააღმდეგ და იბრძვის სამშობლოს გასანთავისუფლებლად. სრულიადაც არ მეპარება ეჭვი, რომ მონობისაგან ახალგაზრდა თაობის დასახსნელად ათასობით ვაჟები და ქალები შევლენ კომკავშირის რიგებში და ფრანტირერთა და პარტიზანთა რაზმებში. ისინი ახალგაზრდობის ფართო პატრიოტულ ფრონტში გაერთიანდებიან და საფრანგეთის მიწაწყალზე ბრძოლას გაუმართავენ დამპყრობლებს. საფრანგეთის ახალგაზრდობამ უნდა იბრძოლოს, რათა ჩვენმა სამშობლომ თავისუფ-





ლება და დამოუკიდებლობა დაიბრუნოს. იგი არ დააყოვნებს ამ საქმეს.

ამ დილით სიკვდილი მიუსაჯეს როელ მამაც ამხანაგს, ანრი რობერს, რადგან იგი თავის სახლში მალავდა ვაჟკაც პარტიზანს. როგორი საუცხოო მაგალითია მისი საქციელი! მე გადავეცი მას პატარა ბარათი „მარსელიოზის“ სიტყვებით. ჩვენ ჩვენი წინაპრების ჰიმნის სიმღერით შევეგებებით სიკვდილის წუთებს.

გამოსათხოვარ სალამს ვუძღვნი საფრანგეთის დიად კომუნისტურ პარტიას, მის სახელოვან შორსმჭვრეტელ ბელადებს, სალამს ვუძღვნი საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირს, ყველა ჩემს გუშინდელ თანამებრძოლს, ყველას, ვინც მეხმარებოდა, ვინც მიფარავდა პოლიციის კლანჭებისაგან.

დარწმუნებული ვარ, არცერთი ჩვენი მსხვერპლი ამოდ არ ჩაივლის, მჩაგვრელნი დაისჯებიან, და მეც მზად ვარ, ჩემი სახელი მივუმატო ნაციონალური გათავისუფლების საქმისათვის წამებულთა გრძელ სიას.

გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირს!



გაუმარჯოს ცენტრალურ კომიტეტს! გაუმარჯოს  
ჩსრ კავშირს! გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს სახელოვან ფრანტირებებსა და პარ-  
ტიზანებს!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საფ-  
რანგეთს!

სიკვდილი ტირანებს!

ჟულიენ აპიო





საქართველოს  
წიგნების კავშირი



# ქ ა ნ ა ლ ე ზ ა რ ი

საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილე  
1941 წლის ივლისიდან, ფრანტირერთა  
და პარტიზანთა ორგანიზაციის ლეიტენანტი;  
დახვრიტეს 1944 წლის 11 აპრილს  
მონვალერიენში.

ფრენის საპატიმრო, 1944 წლის 11 აპრილი

ძვირფასო ჰენრიეტა!

ძვირფასო ფრედო და ლუი!

ჩემო ძვირფასო ძმებო, და შენ, ჩემო საყვარელო დაო, უდიდესი მწუხარება მოგაყენეთ. ძალიან გთხოვთ: როგორმე ანუგეშეთ დედა, მას ძალიან გაუჭირდება... ორი საათის შემდეგ მე და ჩემს ოც ამხანაგს დაგვხვრეტენ... ვკვდები, როგორც მოკვდა ძრავალი ფრანგი სამშობლოს ბედნიერებისათვის. უკანასკნელ სალამს ვუძღვნი ჩემს მეგობრებს: პოლეტას, ოდეტას, ჟეოს, რენე ს...ს, სოლანჟეს, ჟილბერს და ჟილბერტას, და აგრეთვე კ...ს, რომლის მოწაფედ ყოფნის ბედნიერება მხვდა წილად. რასაკვირველია, ფრიად ძნელია



მოკვდე ისე, რომ უკანასკნელად არ ჩაიკრა გულში ისინი, ვინც შენთვის ძვირფასნი არიან, მაგრამ ვიცი, ამო როდია ჩემი მსხვერპლი; პარტიის მიერ ჩემში დანერგული მორალური თვისებები მამხნევებენ და საშუალებას მაძლევენ, დამშვიდებით მოვკვდე.

ძვირფასო ჰენრიეტა, გევედრები: ეცადე — ანუ-გეშო ჩემი მეუღლე. მინდოდა, სახსოვრად გადაგეცა მისთვის რომელიმე ჩემი ნივთი, მას ხომ ასიამოვნებს ეს. იყავით ორივენი მედგრად, უფრო ხშირად ინახულეთ ერთმანეთი. უთხარი, თუ როგორ მეძნელება მასთან განშორება.

ნუ დაივიწყებ ქ-ნ რ...ს და მის შვილს. მალე დამთავრდება ომი, გამარჯვება უკვე ახლოა, ფრედო და ლუი შინ დაბრუნდებიან. ეს გამარჯვება იქნება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ახალი, უკეთესი საზოგადოებრივი წესწყობილებისაკენ. ის არ დაუშვებს ახლანდელ სიღუბჭირეთა განმეორებას. 14 ივლისს, ჩემი დაბადების დღეს, ყოველთვის იფიქრეთ ჩემზე და გახსოვდეთ, სრულიადაც არ ვნანობ სიკვდილს, თუმცა გულს მიღონებს ის ფიქრი, რომ ვტოვებ შენ, ვტოვებ ჩემს მეუღლეს... დედაჩემს შვილიშვილი რომ ყოლებოდა, უფრო ადვილად გადაიტანდა მწუხარებას. მაგრამ ახლოა ეამი, როცა მე ვიქნები მათ რიცხვში, რომლებ-





მაც თავიანთი სიცოცხლე უკვე შესწირეს ნამდვილი საფრანგეთის დიად სიყვარულს. ვკვდები სინდის-შეუბლალავი: არავინ არ გამიცია. არ მინდა, გამარჯვების შემდეგ განმეორდეს კაცთა ჟლეტა და, როგორც ფრანგი კომუნისტი, მოვითხოვ, სამშობლოს მოლაღატეები, ჩვენი გამცემნი, ღირსეულად დაისაჯონ. ვეთხოვები სიცოცხლეს და გისურვებთ ბედნიერებას. იყავით მამაცნი.

გეხვევით ყველას. სიკვდილის პირისპირ მდგარი, ვაცხადებ:

გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს საფრანგეთს, რომლის სიყვარულიც კომუნისტურმა პარტიამ მასწავლა!

მშვიდობით.

ჟანი





# რ მ ბ ე რ ა მ ე ლ ი

დახვრიტეს 1943 წლის 15 თებერვალს.  
40 წლის იყო. ეს ჩანაწერები გადასცეს  
მის ცოლს — პიჯაკის სარჩულში ჩაკერვ-  
ბული.

უთარილო

ძვირფასო ჩემო!

გუშინ წარვსდექი ტრიბუნალის წინაშე, რომელ-  
მაც განაჩენი გამომიტანა. როგორც მოსალოდ-  
ნელი იყო, სიკვდილი მომისაჯეს.

ვფიქრობ, ერთ კვირაში ყველაფერი გათავდება,  
და თუმცა მიმოწერის, ამანათის მიღებისა და შენი  
ნახვის ნებაც კი დამრთეს, იმედი მაინც არა მაქვს,  
რომ ამ ბარათს დროზე მიიღებ. სჯობს დავტოვო  
ის ჩემს ნივთებში: იქნებ, ასე მაინც მოალწიოს შე-  
ნამდე ჩემმა უკანასკნელმა გამოსაღმებამ. სავსებით  
მშვიდად და მტკიცედ ვარ, მხოლოდ ის მაწუხებს,  
ჩვენს გამარჯვებას რომ ველარ მოგესწრები, იგი  
კი ახლა უკვე ახლოა.

მოსამართლენი აშკარად გაკვირვებულნი იყვნენ,  
თითქმის შერცხვენილნიც კი ჩვენი სიმშვიდითა და





შეუდრეკელობით, როდესაც სასიკვდილო განაჩენი წაგვიკითხეს. დავანახვებთ მათ, თუ როგორ კვდებიან კომუნისტები.

ჩემი უკანასკნელი ფიქრი შენ დაგტრიალებს, ჩემო ძვირფასო. როგორ მიმძიმს შენი დაშორება! ძლიერ მიყვარხარ, ეს შენ თვითონ იცი. მაპატიე, თუ ხანდახან გაწყენინებდი, — შემინახე პატარა კუნჭული შენს გულში და გევედრები, ნაადრევად ნუ დამივიწყებ. ეცადე, შენიჭირიმე, მოამზადო ჩემი მშობლები. ისინი ლაკამბაში (კალვადოსი) ცხოვრობენ. რაც კი შეგიძლია, ყველაფერი გააკეთე და მათ როგორმე აცნობე...

გიტოვებ ყველა ჩემს ნივთს, მოიხმარე ისინი როგორც გინდოდეს. როცა ჩვენი ივეტა გათხოვდება, გაატანე ავეჯი და თეთრეული, დაე ჰქონდეს ჩემს სახსოვრად.

სამნახევარი თვე ვიყავი საკანში მარტოდმარტო, მაგრამ სულით არ დავცემულვარ. მტანჯავს მხოლოდ შენი ამბავის უცოდინარობა და შიმშილი, მაგრამ ყველაფერ ამას მალე ბოლო მოეღება. როგორ მინდა შენი ნახვა, ეს არის ჩემი ერთადერთი სანატრელი, მაგრამ ძნელია მისი ასრულება. სანამ ჩვენ სულს ამოგვხდიდნენ, ჯალათები გვტანჯავდნენ იმით, რომ არ გვაჩვენონ ჩვენთვის უნაზესი და უსაყვარლესი ადამიანები.



ქვირფასო ჩემო, მხნედ იყავი. მე მინდოდა სი-  
ცოცხლე, რომ ჯალათების ჯავრი ამომეყარა. არა-  
ფერია, სხვები იძიებენ შურს ჩემთვის, მაგრამ შენ  
უფლება გაქვს ჩემით იამაყო, რადგან ამ ბრძოლა-  
ში მე მოვკვდები, როგორც მტრის ტყვისაგან  
განგმირული ჯარისკაცი.

მაპატიე ცუდი ნაწერისათვის, მაგრამ გრაფიტის  
პაწაწინა ნატეხილა შემრჩა მხოლოდ.

ჩემი ძმური სალაში და საუკეთესო სურვილები  
გადაეცი ყველა ჩვენს მეგობარს და პირველ რიგში  
ჟორჟსა და მადლენას, მარია-ტერეზას, რენე ნ...ს  
და ჰექტორ ბ...ს — ყველას, ყველას. სამწუხაროდ,  
ყველას ჩამოთვლა არ შემიძლია.

ნაზად ვეამბორები ივეტას და ვუსურვებ ბედ-  
ნიერებას ცხოვრებაში, რაც მხოლოდ ახლა იწყე-  
ბა მისთვის.

ჩემი უკანასკნელი ფიქრი და უკანასკნელი კოც-  
ნა შენსკენ მოილტვის, ჩემო ქვირფასო მეუღლე.

შენი რობი

\* \* \*

უთარილო

ვცდილობ დროდადრო რამდენიმე სიტყვა მაინც  
დავწერო, შენ იცი, რომ მე შენთან ვიქნები უკა-  
ნასკნელ წუთამდე. მაგრამ გაფაციცებული მადევ-  
ნებენ თვალყურს.





შაბათი. ერთი სურვილი მაქვს — დაე იყო იგი სულელური, მაგრამ მაინც შეასრულე. გახსოვს, შენ ერთი ბოთლი შამპანური გადაინახე, ჩვენი ქორწინების მეცხრე წლისთავი რომ გადაგვხადა. მე მინდა, შენ ის ბოთლი გატეხო. მეტად შეურაცხყოფელი იქნება ჩემთვის, სხვა შემთხვევის გამო რომ შესვან იგი. განა მართალს არ ვამბობ?

კვირა. პარასკევი და კვირა ყველაზე მძიმე დღეებია ჩემთვის. პარასკევობით ჩემს საკანთან ჩატარებენ პრივილეგირებული ხალხისათვის განკუთვნილ ამანათებს, მე კი მგელივით მშიერი ვარ. ამბობენ, თამბაქოს მოწევას კაცი ნელ-ნელა გადაეჩვევაო. მაგრამ გარწმუნებ, ჩემთვის ერთი ნაფაზიც კი დიდი ნუგეში და სიამეა.

საკანში მაქვს შენი ფოტოგრაფიული სურათი. კვირაობით, ყოველ წუთს, შინა ვარ, შენთან. წარმოვიდგენ, თუ რას აკეთებ ახლა. გემუსაიდები, მაგრამ ახლა უკვე მე კი არა, — შენ არ უპასუხებ ჩემს შეკითხვებს.

ძალიან ნელა მიდის დრო; მიხარია დაღამება, — იქნებ დავიძინო მაინც...

შიმშილის დასავიწყებლად ადრე ვწვები. ეხ, ნეტა ერთი თამბაქო მაინც მქონდეს. იმედია, შენ ისევ იღებ თამბაქოს, გადაცვალე ის პროდუქტებზე.



დამავიწყდა მეთქვა: ტრიბუნალის განაჩენი უნდა დაამტკიცოს დიდი პარიზის რაიონის სამხედრო ოლქის სარდალმა. იგი ამავე დროს განიხილავს თხოვნას პატიებათა შესახებ. ვფიქრობ: პასუხს მივიღებთ უახლოესი კვირის განმავლობაში, და შენც თვითონ იცი, როგორი იქნება იგი. თუ მხედველობაში მიიღებს, რომ ჩვენ გაგვასამართლეს იმ დღეს, როცა გერმანელებს მოუხდათ სტალინგრადთან თავიანთი განადგურების გამოცხადება. არა მგონია, ისინი ახლა ლმობიერების გუნებაზე იყვნენ.

ოთხშაბათი. ორშაბათ ღამეს მოვიდნენ ერთი ბიჭის წასაყვანად. იგი ამავე საქმის გამოა მსჯავრდადებული. განაჩენი უკვე სამი კვირის წინათ გამოუტანეს, მაგრამ თხოვნა პატიების შესახებ ბერლინში გადაგზავნეს დასამტკიცებლად. ასე რომ შემძღია ვთქვა, როგორც სიმღერაშია: „ერთს წაიყვანენ დღისით, მეორეს კი — ამაღამ“. მაგრამ ამან როდი დამიკარგა მადა. ყოველ შემთხვევაში, სიკვდილმისჯილი უხვად იკვებება საფრანგეთში. იგი ისედაც საკმაო სატანჯველშია და შიმშილით წვალება კიდევ აღარ სჭირია.

ხუთშაბათი. შევამჩნიე, რომ დღეს ღამითაც და დღისითაც განსაკუთრებით ფხიზლად მითვალთვალებენ. ნეტავი, შენი ნახვის ნებას დამართავდნენ.



პარასკევი. აი პარასკევიც გავიდა. მაშასადამე, დამეკარგა შენი ნახვის ბედნიერება და პაპიროსის მოწევის სიამეც...

კვირა. დღეს ცოტას კიდე ვიშუსაიფებ შენთან. დღეს ამ თვის თოთხმეტია. უკვე ოთხი თვეა, რაც დამაპატიმრეს. დღევანდელივით მახსოვს ის დღე, ვიგონებ შენთან გატარებულ უკანასკნელ დღეს. ხომ წინასწარ ვგრძნობდი, ხიფათი შემემთხვეოდა. როცა მარიო მპატიყებდა ტერეზას დღეობაზე, მე ვუთხარი: „ვინ იცის, მანამდე ჯერ კიდე რა მოხდება-მეთქი“. ხომ ხედავ, ამას წინასწარ ვგრძნობდი. და რატომ არ უნდა ვთქვა ეს დღეს? შენი ნახვის დიდი იმედი მაქვს. აი უკვე ათი დღეა, რაც სიკვდილი მომისაჯეს, და ჯერ კიდევ არაფერი ვიცი.

მე თითქმის დარწმუნებული ვარ, ამ კვირაში შენზე რაიმეს გავიგებ. დარწმუნებული ვარ, მოგვცემენ ნახვის ან ამანათის მიღების ნებას. იქნებ გვალირსონ ერთიც და მეორეც. რა კარგი იქნებოდა! ოღონდ კვლავ არ გამიცრუვდეს მოლოდინი.

რ. ა.





# ქაკ დეკური

## დეკურადეიანში

საფრანგეთის მწერალთა იატაკქვეშური  
 ნაციონალური კომიტეტის ერთ-ერთი ორ-  
 განიზატორი. დააპატიმრეს ამ კომიტე-  
 ტის ორგანო „საფრანგეთის ლიტერატუ-  
 რის“ პირველი ნომრის გამოშვების შემ-  
 დეგ. ვიშის ხელისუფლებამ გადასცა გეს-  
 ტაპოს და საშინელი წამების შედეგად  
 დახვრიტეს 1942 წლის 30 მაისს. მასთან  
 ერთად დახვრიტეს კომუნისტი მეცნიე-  
 რები ჟაკ სოლომონი და ჟორჟ პოლიტ-  
 ცერი.

(ნაწყვეტი მშობლებისადმი მიწერილი ბარათიდან)

... გახსოვდეთ, ბოლომდე დავრჩი თქვენი ღირ-  
 სეული, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ღირსეული  
 შვილი. როდი ვნანობ, ეს გზა რომ ავირჩიე. მინდა  
 ვიფიქრო, ჩემი სიკვდილი უკვალოდ არ ჩაივლის.  
 იცოდეთ, არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის,  
 არ შერცხვებით ჩემს გამო; მე შევძელი ჩემი მო-  
 ვალეობის, ფრანგის მოვალეობის მოხდა. ჩემი  
 სიკვდილი კატასტროფად როდი მიმაჩნია: თქვენ





თვითონ იფიქრეთ, სწორედ ამ წუთს, ისე როგორც ყოველდღე, ყველა ეროვნების ათასობით მებრძოლები იღუპებიან იმ დიდი გრივალისაგან, რომელსაც ჩემი სიცოცხლეც მიაქვს.

იცოდეთ, ორი თვე ველოდი იმას, რაც დღეს დილით უნდა მოხდეს. საკმაოდ დრო მქონდა, მოემზადებულყავი ამისათვის, მაგრამ, რადგან მე ღმერთი არა მწამს, ბევრი აღარ მიფიქრია სიკვდილზე, მე ჩემი თავი ტოტიდან მოწყვეტილ ფოთლად უფრო მიმაჩნია — ფოთოლი ხიდან მიწაზე ეცემა ნიადაგის გასანოყიერებლად.

ნიადაგის ღირსება ფოთლების ხარისხზეა დამოკიდებული. მინდა ბევრი ვილაპარაკო ჩვენს ფრანგ ახალგაზრდობაზე. მთელი ჩემი იმედი — სწორედ ეს ახალგაზრდობაა. მაპატიეთ ის მწუხარება, რაც მოგაყენეთ. მთელი ეს სამი თვე ყველაზე უფრო ის ფიქრი მალონებდა, რომ თქვენ ჩემზე დარდობდით. ახლა კი სულ იმაზე ვფიქრობ, რომ თქვენ დაჰკარგავთ შვილს, რომელმაც მწუხარება უფრო მეტი მოგაყენათ, ვიდრე სიხარული. მაგრამ იცოდეთ, თქვენი შვილი მაინც ბედნიერია, რადგან მან შესანიშნავად გაატარა თავისი ცხოვრება.

... თუ შესაძლებლობა გექნეთ, ჩემი შემცვლელი პედაგოგის მეშვეობით გადაეცით ჩემს მოწაფეებს, რომ ბევრი ვიფიქრე გოეტეს „ეგმონტის“ უკანასკნელ სცენაზე.





# ქ რ ზ ე ზ დ ე ლ ო ბ ე ლ ი

საწინააღმდეგო მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი ნუაიელ-გოდოში (პა-დე-კალეს დეპარტამენტი). დააპატიმრეს მე-შახტეთა გაფიცვის დროს 1942 წლის გაზაფხულზე და დახვრიტეს იმავე წლის ივლისში. მისი ძმა, ლუი დელობელი, საწინააღმდეგო მოძრაობის აქტიური მონაწილე, აგრეთვე დახვრიტეს 1942 წელს.

არახი, 1942 წლის ივლისი

ჩემს ნათესაებს,  
ჩვენს დიად პარტიას და  
კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციას.

ჩემთვის ძალიან ძნელია ტევტონთა ბარბაროსობის მსხვერპლად გამხდარი ყველა ჩემი ამხანაგის სახელით ამ უკანასკნელი სტრიქონების დაწერა.

ჩვენ ყველანი დაგვაპატიმრეს აპრილის ბოლოს და მაისის დამდეგს. პირველ ორ კვირას დაკითხვა დაკითხვას მოსდევდა, ცემით ყოველთვის მიგ-



ვამკვდარებდნენ, — როგორც ამას ასი წლის წინათ ჩაღიოდნენ. დაკითხვებზე თითოეული ჩვენგანი თავის „უღუფას“ ღებულობდა — გვცემდნენ ლურსმნისთავიანი ჯოხით, გვცემდნენ მათრახებით, გვამწყვდევდნენ ბნელ საკანში, რომელიმე ამ პირუტყვთაგანი შიგ თვალეში მოგვანათებდა ელექტრონის ფარანს, დანარჩენები კი — ორი ან სამი ერთად — გვცემდნენ.

ჯალათები წელეებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ჩვენ ჩვენი ამხანაგები დაგვესახელებინა. ჩვენ, რასაკვირველია, ვღუმიდით, და ისინი სეტყვასავით გვაყრიდნენ მუშტებს. გადმოგცემთ ერთ ფრაზას — სიტყვა-სიტყვით ვიმეორებ მათ ნათქვამს: „თუ ყველაფერს არ იტყვით, ფეხებით ცეცხლში შეგდებენ, წელამდე დაგწვავენ, შემდეგ კი ჩამოგახრჩობენო“. და ყველანი გაიძახოდნენ: „შენი საქმე წასულიაო“.

ჩვენი ძვირფასი ამხანაგი იუბლო ინიასი უპატრონოდ საკანში გარდაიცვალა. დაკითხვის დროს არცერთი ამხანაგი არ გასცა და ხერხემალი გადაუმსხვრიეს. არასოდეს დაიფიწყოთ მისი სახელი.

სავალალო შესახედავი ვიყავით, როცა ერთმანეთს სარკმელში, ან სეირნობის დროს დავინახავდით, — ცემისაგან დასიებული თვალები, მთლად დალურჯებული და დაწყლულებული თავპირი და სხეული:



ეს ბარბაროსები ცდილობენ ჩაგვაგონონ, რომ ჩვენ შეგვიძლია სიცოცხლის შენარჩუნება. ისინი დაკითხვებზე განზრახ ამბობენ, ერთ-ერთმა თქვენმა ამხანაგმა ესა და ეს სთქვაო, მეორე კი დევ რალცაში გამოტყდაო, — რათა აიძულონ და ენა ამოადგმევენონ ტანჯვა-წამებისაგან გონებადაბნეულ უბედურ ადამიანებს.

ამ სულისამომხდელი დაკითხვების შემდეგ თითქმის ორ თვეს თავი მიგვანებეს და ჩვენც ვცხოვრობდით ნათესავეებისაგან ამანათების მოლოდინში. საკმელზე ლაპარაკიც კი არა ღირს — დღეში გვაძლევენ წყალწყალა წვენს და ორას გრამ პურს.

ასე ვცხოვრობდით და კარგად ვიცოდით, თუ რა გველოდა. სამშაბათს, 7 ივლისს, საღამოს 8 საათზე გაგვაფრთხილეს, ხვალ, ოთხშაბათს, სამსჯავროს წარუდგებითო. ძალიან არც გაგვეკვირვებია — მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ოთხშაბათ დილით, 8 საათზე, ჩვენ, ოცდაექვსი კაცი, შეგვეკრიბეს საპატიმროს ეზოში, ხოლო ჩვენთან გასასამართლებელი ოცდამეშვიდე ამხანაგი ჰოსპიტლიდან მოიყვანეს. ოცი ჯარისკაცის თანხლებით ტრიბუნალში მიგვრეკეს. აქ, სწორედ, როგორც თეატრის სცენაზე, გათამაშდა საზიზლარი კომედია. 9 საათზე დაიწყო გასამართლება. მისი ტრაგიკული დასასრული წინასწარ იყო განსაზღვრული.



ჯერ არკვევდნენ ყველა ოცდაშვიდი ბრალდებულის ვინაობას, შემდეგ შეუდგნენ დაკითხვას, ამასთან ყველაფერი ეს ტარდებოდა გერმანულ ენაზე. შეკითხვებსა და პასუხებს თარჯიმანი თარგმნიდა. ორის ნახევარზე შუადღის სამ საათამდე გამოაცხადეს შესვენება სადილობისათვის; გაგვიყვანეს მეზობელ სახლში და იქ თითო ჩამჩა წვენი მოგვცეს. ისე გვითვალთვალეზდნენ, რომ ერთმანეთთან დალაპარაკებაც ვერ მოვახერხეთ. საპირფარეშოშიც ორი კაცი გვდარაჯობდა და იქაც კი არ შეგვხსნეს ხელბორკილი. დაკითხვის შემდეგ პროკურორმა გერმანულად წაიკითხა საბრალდებლო აქტი. რასაკვირველია, ვერც ერთი სიტყვა ვერ გავიგეთ, სამაგიეროდ მშვენივრად მივხვდით თარჯიმანის სიტყვებს, რომლებმაც გამოგვიცხადა, ოცდაშვიდ კაციდან ოცდახუთისათვის პროკურორი სიკვდილით დასჯას მოითხოვსო. კომუნისტურ სიტყვას გაძღვეთ, ეს წუთი დიადი წუთი იყო: არცერთი ჩვენგანი არ შემდრკალა, ვიღიმებოდით კიდევ, ჩვენ გვინდოდა ჯალათებს დაენახა ჩვენი მათდამი სიძულვილი. ვეჭილი, — კაპრალის ფორმაში გამოწყობილი გერმანელი, იცავდა სიკვდილმისჯილებს. რა ილაპარაკა მან, ჩვენ ვერ გავიგეთ. სასამართლო გავიდა სათათბიროდ, შემდეგ დაბრუნდა, და წაგვიკითხეს განაჩენი, იგი





ალარ გასაჩივრდება. სიკვდილი მიუსაჯეს ოცდაორ  
 კაცს. ცხადია, სასამართლოს დასკვნა აგრეთვე  
 გერმანულად წაგვიკითხეს, და კვლავ ვერაფერი  
 გავიგეთ. მღუმარედ გამოვედით, კვლავინდებურად,  
 ვიღიმებოდით. სენ-ნიკეზში ისევ ისე დაგვაბრუ-  
 ნეს... — ხელფეხშეკრულნი ვიყავით და საიმედო  
 მცველები გვახლდნენ.


მახარებს სიმაძაქვე და ვაუჯაცობა, რაც ყველა  
 კომუნისტმა ამხანაგმა გამოიჩინა.

ძვირფასო ამხანაგებო, იცოდეთ ჩვენ ბოლომდე  
 შეევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და არაფერს ვნა-  
 ნობთ. ჩვენ ვიყავით პარტიისა და საფრანგეთის  
 ერთგული ჯარისკაცები. დაე ეს მაგალითი ნუ გაქ-  
 რება უკვალოდ, რადგან საფრანგეთმა უნდა იცოც-  
 ხლოს, და ჩვენმა დიადმა პარტიამ უნდა დაიკა-  
 ვოს თავისი ადგილი იმ პოლიტიკურ წესწყობილე-  
 ბაში, რომელიც მშრომელთა მასების ნება-სურვი-  
 ლით შეიქმნება.

გვაიმედებს იმის შეგნება, რომ ჰიტლერს ჩაეფუშა  
 შეტევა და სახელოვანი წითელი არმია არაქათს  
 აკლის მის ძალებს, არ აძლევს მას მოსვენებას.

გამარჯვებაში დაეჭვება შეუძლებელია, ნაციზმი  
 და ფაშიზმი საბოლოო დაღუპვის პირას არიან  
 მიმდგარნი.

ამხანაგებო, ჩემო კეთილო მეგობრებო, გემშვი-



დობებით. იცოდეთ, სიკვდილს ქედმოუხრელნი  
შევხვდებით, მაგრად მოვკუმშავთ მუშტებს და შევ-  
ძახებთ: „გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას!  
გაუმარჯოს საფრანგეთს!“

ძვირფასო მშობლებო, მინდა იგივე გითხრათ  
თქვენ, რაც ჩემს ამხანაგებს — იყავით მამაცნი და  
გემშვიდობებით სამუდამოდ.

---

# როლან დელვალი

ოცდაერთი წლისა იყო. საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილე 1941 წლიდან, იყო ვარვენის (პა-დე-კალეს დეპარტამენტი) პასუხისმგებელი. საბოტაჟისათვის დააპატიმრეს 1942 წლის 5 მაისს ვიზის პოლიციელებმა ენიონმა და გადენბა. ტანჯვა-წამების შემდეგ 1942 წლის 28 ივლისს მიუსაჯეს სიკვდილი.

(არსებობს მხოლოდ ნაწყვეტი მშობლებისადმი უკანასკნელი ბარათიდან)

უთარილო

სიკვდილი როდი მაშინებს, ძვირფასო დედა; იყავი მხნედ, როგორც მუდამ მხნე და მამაცი იყო შენი შვილი. მე ვიქნები ძლიერი და მშვიდი: მე ხომ ყოველთვის ვცდილობდი, რომ ასეთი გყოფილიყავ; მაგრამ მინდა კიდევ გითხრათ, ვამაყობ იმით, რომ ეიბრძოდი ჩემი დიადი პარტიისათვის, ერთადერთი პარტიისათვის, რომელსაც ეკუთვნის მომავალი.

---

# ბ ნ დ რ ე დ ე ლ მ ა



გილიოტინით, თავი მოკვეთეს 1942 წლის 23 ივლისს სანტეს საპატიმროში. საფრანგეთის კომუნისტური პარტიისადმი მიმართული ეს წერილი ნაპოვნია საპატიმროს არქივებში.

პარიზი, 1942 წლის 23 ივლისი

ჩემს პარტიას,  
ყველა ჩემს ამხანაგს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გილიოტინაზე სიკვდილით დამსჯიან.

დაე იცოდეს ყველამ, რომ ყოველი ჩემი ფიქრი, ისე როგორც ჩემი უკანასკნელი ფიქრი, მიმართული იქნება ჩემი ძვირფასი პარტიისადმი, ხალხთა გმირული განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი, ჩვენი საყვარელი სტალინისადმი. დღეს გულდამშვიდებული ვწირავთ სიცოცხლეს ამ ბრძოლას, შიგ თვალებში შევყურებთ ჯალათებს, ქედუხრელნი და ამაყნი იმით, რომ ვკვდებით ჩვენი გათელილი სამშობლოსათვის. და ვიცით, ხვალ იგი კვლავ აღსდგება და ახალ ცხოვრებას დაიწყებს.



როცა გარემოებამ საშუალება მოგცეთ, ჩემს  
 ცოლს უბრალოდ უთხარით:

„მას უყვარდი შენ, და როცა დადგა მისი უკანასკნელი ჟამი, მან სამუდამოდ დაიძინა და თან წაიტანა-თქო შენი ძვირფასი სახე და წითელ ვარსკვლავთა ელვარე წვიმის მოჩვენება“.

ა. დელმა.





დაიბადა 1921 წელს. საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილე 1940 წლის ნოემბრიდან; იყო ლათინური კვარტალის ფრანტირერთა და პარტიზანთა პასუხისმგებელი ორგანიზატორი. დაპატიმრეს 1942 წლის 18 ივნისს მენილმონტანში; დაპატიმრებულ თერთმეტ ამხანაგთან ერთად დახვრიტეს იმავე წლის 22 აგვისტოს.

უთარილო

საყვარელო შარლო!

ცალკე გწერ, რადგან არ მინდა, ეს წერილი ნახოს ბიცოლამ და დედამ.

სამი პირველი დაკითხვა სასტიკად მძიმე იყო. პირველი ჩატარდა 18 ივნისს საღამოს: სამ საათს მეკითხებოდნენ; მეორე 19-ს დილით (კვლავ სამი საათი) და მესამე — 19-ს საღამოს (ოთხი საათი).

შეგიძლია მერწმუნო — მაგრად მომხვდა: მცემდნენ მუშტით, ფეხით, მუხლით, ერთი კუთხიდან მეორეში მისროდნენ, ჯოხით მცემდნენ კეფაში.



მთელ კვირას ველარ ვსუნთქავდი და ძლიერს ეკადებდი პირს — ცხვირი და ყბები გამიხეთქეს. ერთ-ერთ დაკითხვაზე ორმა გამაკავა, ხოლო ერთი აყლაყუდა მუშტით ჩემდა მუცელში და ნოკაუტი გამიკეთა. ყურებში ხელები ჩამავლეს და ისე ამაყუნეს. კვლავ დამიწყეს ცემა. ცდილობდნენ მოერტყათ ნატკენ ფეხში. თმებში მტაცეს ხელი და კედელზე მაჯახუნებდნენ თავით.

ცდილობდნენ ჩემს დაშინებას და დამემუქრნენ, ხარის ძარღვებისაგან დაგრეხილი მათრახითა გცემთო, ხელებსა და ფეხებს მანქანით დაგამტვრევთო! აქამდე ამ სატანჯველისათვის არ მიუმართავთ, რაც იმას როდი ნიშნავს, რომ აღარ მიმართავენ.

მაგრამ, მე მაინც არაფერი ვთქვი. ვდუმდი, ისე როგორც ჩემთან ერთად დაპატიმრებული ყველა ოთხმოცდაორი ჭაბუკი. ამან ვააცოფა ჩემი ჯალათები და სამი დღის განმავლობაში პირდაპირ დანაყეს კიდეც ორი ჩვენი ამხანაგი.

უკვე ორი კვირაა, რაც თავი მიმანებეს; არც ერთხელ არ უცემნიათ; მხოლოდ სამჯერ დამკითხეს, სავარძელში მაჯენდნენ. იქ კი თავიდან ბოლომდე მოფუყევი მათ, თუ რისთვის იბრძვის ჩვენი პარტია. ახლა ოდნავ დავმოშმინდი, ტკივილებს თითქმის აღარ ვგრძნობ.



შენ თვითონ იცი, აქედან რომ თავი დამელწია, მერე მაგათ საშველს აღარ მივცემდი. შავდღეს დავაყენებდი.

მაშ ასე, ყველა ჩემი ამხანაგით შევინარჩუნე მხნეობა; ჩვენს ჯალათებს შეუძლიათ, — რაცა სურთ — ყველაფერი ჩაიდინონ, მე კრინტსაც ვერ დამაძვრევენებენ.

ანდრე

\* \* \*

ხანტე, 1942 წლის 22 აგვისტო, დილის 10 ხაათი

ძვირფასო მამა და დედა!

იძულებული ვარ გაცნობოთ ფრიად სამწუხარო ამბავი. დედი, ჩემო ძვირფასო, იყავი შენი შვილივით მამაცი. სასამართლომ სიკვდილი მომისაჯა. სასამართლო გაგრძელდა 27 ივლისიდან 7 აგვისტომდე. დღეს შუადღეზე დამხვრეტენ. მადარდებს, სიკვდილის წინ რომ ვერ მოვახერხე თქვენი ნახვა და ველარ მივიღე ისეთი გემრიელი ამანა-თი, საპოლიციო უბანში რომ მოგქონდათ ჩემთან.

დედი, ერთხელ კიდევ გთხოვ, იყავი მამაცი. ამავე დროს ვწერ ეპინეიში. მინდოდა, გენუგეშებინა ბიცოლა და გეზრუნა მისთვის; ის ხომ მოხუცია.



მამი, მე მგონია, შენ შეგიძლია იამაყო შენი შვილით, იგი ბოლომდე შეუდრეკელი იყო.

დენიზ, ძვირფასო ჩემო, ყოველთვის ალერსიანად მოეპყარი დედას. ახლა ჩემი მაგივრობა შენ უნდა გაუწიო მას.

ბედნიერი ვარ, დედილო, როცა ვფიქრობ, მარტო არა ხარ-მეთქი;

გარწმუნებ, მარტო რომ დარჩენილიყავი, უფრო სამძიმო იქნებოდა ჩემთვის.

სასამართლო პოლიციის კანცელარიაში დევს ჩემი 2000 ფრანკი. მინდოდა, ეს ფული გადაეგზავნათ ბიცოლასა და ლუისათვის.

დედი, ეს-ეს არის საჭმელი მოგვიტანეს, — მაძლარი მაინც მოგკედებით. საუზმე კარგია.

დედა, ძვირფასო, მშვიდობით, გემშვიდობებით, მამავ, დენიზ, ბებია და ყველას, ყველას.

ყველანი ძლიერ მიყვარხართ და მაგრად გეხვევით.

დედა, გევედრები, მხნედ იყავი, გახსოვდეს: მარტო მე როდი ვილუპები.

ნაზად გეამბორები.

შენი შვილი

ანდრე

# ანდრე ლიურანი



საწინააღმდეგო მოძრაობას მიემხრო  
1943 წლის მაისში; დაპატიმრეს იმავე  
წლის 10 დეკემბერს; დახვრიტეს 1944  
წლის 24 მარტს მონვალერიენში.

ფრენის საპატიმრო, 1944 წლის 24 მარტი

ძვირფასო მშობლებო!

ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა თქვენდამი. სწორედ ახლა მომიტანეს საწერი ქალაქი და იმავე დროს უარი პატიების თხოვნაზე. მორჩა. სამ საათზე აღარ ვიქნები.

ძვირფასო მამა და დედა, უკანასკნელ წერილში მინდა გითხრათ, თუ როგორ მიყვარდით მუდამ, თუმცა ყოველთვის ვერ ვამჟღავნებდი ამას.

სიკვდილის წინა საათებში ვნანობ მხოლოდ ორ რამეს: დედი, მრცხვენია, ხანდახან რომ გაჯავრებდი და აგატირებდი კიდევ. შენდამი კი, მამავ, ყოველთვის ვერ ვიყავი თავაზიანი; ასე რომ შენ შეგეძლო გეფიქრა კიდევ, არ უყვარვარ, რადგან მისი ღვიძლი მამა არა ვარო. მაგრამ ეს არაა





სწორი. მე მხოლოდ ცელქი ბიჭუნა ვიყავი, ჯიუ-  
ტი ხასიათი მქონდა, მაგრამ ძლიერ, ძლიერ მიყ-  
ვარდი, ჩემებურად მიყვარდი. როცა საყვარელ  
რამეს კარგავ, მაშინ ხვდები, თუ რა ძვირფასი  
ყოფილა იგი შენთვის.

ამის გარდა, არაფერს ვნანობ. უფრო მეტიც:  
ვკვდები მამაცურად, ვიცი, სამართლიან საქმეს  
რომ შევწირე თავი. უმჯობესია, განგმიროს მტრის  
ტყვიამ, ვიდრე დაიღუპო რაიმე სულელური უბე-  
დური შემთხვევისაგან.

საყვარელო მამავ, ხშირად ვფიქრობდი შენზე.  
კარგად შევისწავლე მოტივების კაკუნით გადმო-  
ცემა. რატომაც არა — სამი თვე ხომ განუწყვეტ-  
ლად ვივარჯიშე. სულიერი განწყობილება კვლავინ-  
დებურად ჩინებულნი მაქვს.

ერთი სიმღერა შევთხზე, იმღერება „გოგონა  
დაწყვეტილ ტყიდან“-ის მოტივზე, ჰკითხეთ მო-  
რის ლ-ს, მან იცის. მიხდება თქვენთან გამოთხო-  
ვება, აღარ მყოფნის ქალაღდი; გკოცნით ისე მაგ-  
რად და მტკიცედ, როგორც მიყვარხართ.

ანდრე

\* \* \*

ძვირფასო მამავ!

ეს წერილი სპეციალურად შენთვის არის გან-  
კუთვნილი. მინდა დაიჯერო, მუდამ ღვიძლ მამა-



სავით გიცქერდი. იმედი მაქვს, ანუგეშებ დედას, ეს ხომ საშინელი თავზარი იქნება მისთვის.

როცა დღეს ჩემ სანახავად მოხვედით, მე უკვე ყველაფერი ვიცოდი. ხომ ხედავ, ისე მამაცურად მოვკვდები, როგორც ვიბრძოდი. მე რევოლუციის ჯარისკაცი ვარ და სიმღერით შევხვდები სიკვდილს.

ძვირფასო მამა, იზრუნე დედაზე, როგორ მსურს: ჩემმა სიკვდილმა უფრო განამტკიცოს თქვენი კავშირი.

ნუ დაიტირებთ ჩემს ბედს, იგი ბევრს შეშურდება. უთხარი დედას, რომ იგი ყველაფერში უნდა ბაძავდეს პასიონარიას, და როცა ქვეყანაზე გამეფდება მშვიდობა, განაგრძეთ ჩვენი საქმე, რომლის მიზანია — დამყარდეს ისეთი საზოგადოებრივი წესწყობილება, როცა მთელი კაცობრიობა ბედნიერი იქნება. ვკვდები იმ იმედით, რომ ეს დრო დადგება.

გვედრები, ჩემი უკანასკნელი „მშვიდობით“ გადასცე ჩემს მეგობრებს, განსაკუთრებით ოგიუსტსა და ადრიენას.

ძვირფასო მამა, კიდევ ბევრი რამ მინდა გითხრა, მაგრამ წერა აღარა ღირს, რადგან ყველაფერი ეს ჩვენი ყოველდღიური წვრილმანია. გადმოვცემთ ჩემი სიმღერის სიტყვებს:



როცა სიკვდილი კარს მოგვადგება,  
 როცა ჯალათს სურს მოგვიღოს ბოლო,  
 გულს პარტიასთან სიცოცხლე უნდა  
 და მუდამ მასთან იცოცხლებს მხოლოდ.  
 ჩვენ პარტიისთვის გაგწიროთ თავი.  
 უზარმაზარი ფიჭვის ქვეშ ზელად  
 ვჭექოთ სიმღერა ომანიანი,  
 ჩვენ პარტიისთვის თავს დავდებთ ყველა!

უკვე ვამთავრებ წერილს. მაგრამ ჯერ შინდა  
 გითხრა: ბრიუნოს გვართ გამასამართლეს 1944  
 წლის 16 მარტს ფრანტირერთა და პარტიზანთა  
 საქმის გამო.

სულითა და გულით გკოცნი და შენს ამარა  
 ვტოვებ დედას.

შენი შვილი, რომელიც ძლიერ ნაღვლობს შენზე.

ანდრე



# ფელისიან ჟოლი

ჩრდილო საფრანგეთში აყალიბებდა ფრანტირერთა და პარტიზანთა პირველ რაზმს. ვალანსიენში საგანგებო პოლიციის უფროსის მიერ მიყენებულ სასტიკ წამებათა შემდეგ ჩააგდეს ლოოსის საპატიმროში. სიკვდილით დასაჯეს 1941 წლის 15 ნოემბერს ქალაქ ლილის ციხეში.

1941 წლის 4 ნოემბერი

ძვირფასო მშობლებო, ძვირფასო დებო!

იქნებ ეს იყოს ჩემი უკანასკნელი წერილი. ჩვენ გაგვასამართლეს სამხედრო ტრიბუნალში. ხუთს გამოგვიტანეს სასიკვდილო განაჩენი. ციხის კომენდანტს გავუგზავნე თხოვნა ჩემი ოთხი ამხანაგის პატიების გამო, მაგრამ მე თვითონ, რასაკვირველია, მეტად ველარ ვნახავთ. ბოლომდე შევინარჩუნებ მხნეობას, რაც აქ ბევრს შეშურს.

ჩვენი სისხლი, ყველა დაღუპულის სიცოცხლე ამოდ არ დაიკარგება. ბრძოლა აწრთობს ძალებს. ვძულდეთ ისინი, რომელთაც ეშინიათ პასუხის-



მგებლობისა. იყავით ძლიერი, როგორც მე ვიქ-  
ნები ძლიერი სიკვდილის ქამს.

ვიცი, ყველა ჩემი მეგობარი ფიქრობს ჩემზე.  
ხოლო როცა აღარ ვიქნები, ნუ დაივიწყებთ სა-  
პატიმროში გატანჯულ ამხანაგებს. გააკეთეთ მათ-  
თვის ის, რასაც აკეთებდით ჩემთვის. ეს იქნება  
ჩემი სახსოვარი.

ფ. შ.

\* \* \*

11 ნოემბერი

ვწუხვარ, ჩემდამი გამოტანილი განაჩენი რომ  
გაცნობეთ, — ძალიან კარგად ვიცი, თუ რა თავ-  
ზარი იქნება ეს თქვენთვის. თუ ხანდახან მოწყე-  
ნილი ვარ აქ, საკანში, მხოლოდ იმიტომ, რომ  
ვფიქრობ თქვენზე და ჩემი სიკვდილმისჯილი ოთხი  
ამხანაგის მშობლებზე. ყველაფერს გავაკეთებ მათ  
გადასარჩენად, არ ვკარგავ იმედს, რომ ამას მო-  
ვახერხებ. მე კი სიკვდილისა არ მეშინია.

დედი, გევედრები, იყავი ძლიერი; გამიგონე,  
გაუძელი უბედურებას. ნება დამრთეს სასჯელის  
წინ გინახულო. თუ მოხვიდე, ნუ იტირებ, დამეხ-  
მარე ბოლომდე ძლიერი დავრჩე. იყავი ჩემი შე-  
საფერი, როგორც მე მინდა ვიყო იმათი ღირსი.  
ვინც აქ მღუმარედ იტანჯება, ვისაც შეუძლია  
მედგრად აიტანოს ტანჯვა-წამება.





ყველას, ვინც ჩემთვის ძვირფასია.



ეს წერილი მართლაც უკანასკნელია, რადგან ჩემი სიკვდილის შემდეგ მოგივათ. იგი აღგიძრავთ მძიმე მოგონებებს. მაგრამ გახსოვდეთ, მხდალი არა ვარ, ვიცოდი, რაც მომელოდა, და გულადად მოვკვდები კიდევ.

მამა და დედა, ჩემო ძვირფასო დებო, ნუ დამიტირებთ, პირიქით — იამაყეთ ჩემით.

დღეს მივიღე მღვდელი, — რასაკვირველია, საზიარებლად კი არა, არამედ იმიტომ, რომ ერთი ცოცხალი ადამიანის ხმამ მაინც გადმოგცეთ ჩემი უკანასკნელი სიტყვები.

მინდოდა, კაცობრიობა ბედნიერი გამხდარიყო. გახედეთ მომავალს, იგი გასხივოსნებულია, იგი აუცილებლად მოვა. თქვენ იქნებით ბედნიერნი. თქვენი ბედნიერებისათვის ცოტა რამ მეც გავაკეთე...

ვკვდები ახალგაზრდა, ძლიერ ახალგაზრდა. მაგრამ ჩემში არის რაღაც ისეთი, რაც არ გაქრება სამუდამოდ, — ეს არის ჩემი ოცნება. ჯერ კიდევ არასოდეს არ დამდგარა იგი ჩემს თვალწინ ასე ნათელი, ასე სასიხარულო და ასე ახლობელი, როგორც ახლა. მაშ ასე, დადგა ჩემი აღსასრული: უნდა შევიძლო სიკვდილი.



ვამთავრებ წერილს. საათის ისრები გარბიან, სიკვდილამდე მხოლოდ სამი საათილა დამრჩა. მთავრდება ჩემი ცხოვრება.

მალე დადგება ცივი ზამთარი, მაგრამ მას მოყვება წარმტაცი გაზაფხული. დავცინებ სიკვდილს, რადგან მე კი არ მოვკვდები, მუდამ ვიცოცხლებ. — ჩემი სახელი სამგლოვიარო ზარის ხმა როდღი იქნება, — იმედის ნალარად დაიგუგუნებს იგი.

ნუ დაივიწყებთ ჩემს ამხანაგებს საპატიმროში; მათ მშობლებს არავითარი სახსარი არა აქვთ. გამოსათხოვარ სალამს ვუძღენი ჩემს მასწავლებლებს ვალანსიენის სასწავლებელში.

ვკვდები თავისუფალი, ძლიერი და ბედნიერი საფრანგეთისათვის.





იყო სტენის (სენის დეპარტამენტი) მცხოვრები; ცხრამეტ სხვა პატრიოტთან ერთად დახვრიტეს პარიზს 1944 წლის 24 მარტს.

ფრენის საპატიმრო, 1944 წლის 24 მარტი

ჩემო ძვირფასებო!

გწერთ ამ წერილს, რათა გითხრათ უკანასკნელი მშვიდობით. მრავალ სხვა ამხანაგებთან ერთად ვკვდები, როგორც ჯარისკაცი, ჩვენი სამშობლოსათვის, საფრანგეთისათვის. ჩემს თავს ვერაფერში ვუსაყვედურებ. ჩემო ძვირფასებო, ვიცი, ბევრი რამ განიცადეთ, ძლიერ, ძლიერ გთხოვთ: იყავით მამაცნი, ნუ დამიტირებთ, მე კი არ უნდა გებრალეობოდეთ, — არამედ თქვენი თავი.

ძვირფასო დედილო, ძალიან მინდა შენი ნუგეში იყოს შენი შვილიშვილი, ჩემი პაწაწინა ეოზეტა: გამიზარდე იგი ისეთივე შესანიშნავი ქალი, როგორიცაა დედამისი. ხომ იცი, ძლიერ მიყვარდა იგი. იმედი მაქვს, მას მალე გაათავისუფლებენ.



გთხოვთ: ნუ მიატოვებთ მას, მაშინაც კი, როცა გადასწყვეტს მისთვის ღირსეულ ადამიანთან ახალი ცხოვრების მოწყობას, თუ კი ეს მოესურვება. ასეთია ჩემი ნებასურვილიც: აბა, იფიქრეთ, იგი ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, დაე მისი ცხოვრება ნუ იქნება დამსხვრეული.

ჩემო პატარა დაიკო, იმედი მაქვს, შეეცდები შეუმსუბუქო მწუხარება დედ-მამას; უფრო ალერსიანად მოექეც მათ. შენა ხარ ახლა მათი ერთადერთი ნუგეში და იმედი. თუ სიბერეში მათ გაუჭირდათ, — დაეხმარე, ისე, როგორც მე დავეხმარებოდი.

ძვირფასო მშობლებო, — გმადლობთ ყველაფრისათვის, რაც გააკეთეთ ჩემთვის და მაპატიეთ ჩემს მიერ უნებურად მოყენებული მწუხარება. მე რომ სასიკვდილო განაჩენი გამომიტანეს, თქვენი წასვლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გავიგე. დღეს შუადღეზე აღარ ვიქნები.

ვკვდები საფრანგეთისათვის. ამისრულეთ უკანასკნელი სურვილი და იყავით ჩვენსავით მამაცნი. წინ!

გაუმარჯოს საფრანგეთს, ჩემს სამშობლოს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!



## ჩემო საყვარელო მეუღლე!

გეტხოვები. მხნედ იყავი, ძვირფასო. შენ ხომ ჩემთვის მუდამ იყავი ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ძვირფასი არსება ამ ქვეყნად. მოუარე ჩვენს პაწაწინა ჟოზეტას, იგი ჩვენი ტრფობის შვილია; შენი ვალია — ჩემი მაგიერობა გაუწიო მას, რადგან მე გშორდები, ხოლო გული თქვენთან მრჩება.

როცა ჩვენი ჟოზეტა წამოიზრდება, უთხარი, მამაშენი საფრანგეთისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის მოკვდა-თქო. საყვარელო ჩემო, როცა შინ დაბრუნდები, იფიქრე იმაზე, თუ როგორ მოაწყო შენი ახალი ცხოვრება. ახალგაზრდა ხარ, და ჩემი უკანასკნელი სურვილია, ბედნიერი იყო; ამის ღირსი ხარ.

მტკიცე იმედი მაქვს: დადგება უკეთესი დღეები კაცობრიობისათვის.

ჩემო პაწაწინა ჟოზეტა, შენ როდი გახსოვს მამაშენი. მამას კი ასე ძლიერ უყვარდი. შენ და დედაშენი იყავით მისთვის სიცოცხლის სიხარული. იყავი შენი მშობლების ღირსეული შვილი. იყავი ჭკვიანი გოგონა, ჩემი მაგიერობა გაუწიე დედას, ეცადე გააკეთო ყველაფერი, რომ დედამ ბედნიერი



ცხოვრება განვლოს; ვუსურვებ მას ხანგრძლივ  
უშფოთველ სიცოცხლეს.

ჩემო საყვარელო მეუღლე, იყავი ჩემსავით მა-  
შაცი. მიიღე ჩემი უკანასკნელი ამბორი.

შენი მოყვარული ქმარი.  
გაუმარჯოს საფრანგეთს!

მეფე



1940 წლის 23 ოქტომბერს შევიდა შარლ დებარეის თავისუფალ მსროლელთა პარტიზანულ ორგანიზაციაში. მონაწილეობდა მრავალ საბრძოლო ოპერაციაში. დააპატიმრეს 1942 წლის 24 ოქტომბერს, დახვრიტეს 1943 წლის 1 ნოემბერს. მისი ძმა, მორის კამფენი, დახვრიტეს 1943 წლის გაზაფხულზე.

ჩემს დიად

კომუნისტურ პარტიას.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და ჩემს ამხანაგებს დაგვხვრეტენ. სიკვდილით დასჯას მალლა აწეული თავით შევეგებებები, — ვიცი, შევასრულე ჩემი მოვალეობა და, ჩემო ძვირფასო პარტიავ, ვიყავი შენი ერთგული შვილი. 1935 წელს შევედი კომკავშირში, ვმუშაობდი იქ, მივდევი ჩემი უფროსი ძმის რენეს მაგალითსა და რჩევა-დარიგებებს, — უკანასკნელ საათში ძმაზე ვფიქრობ უღრმესი სიყვარულით. ამირჩიეს რაიონული კომიტეტის მდივნად.



დაიწყო ომი; მოხალისედ წავედი არმიაში, ერთი წელი მის რიგებში ვიმყოფებოდი, ხოლო როცა ხელი მოაწერეს სამარცხვინო დაზავებას, დაებრუნდი არასში ამხანაგებთან ერთად ბრძოლის გასაგრძელებლად.

მე და ჩემი ძმა მორისი ფრანტირერთა და პარტიზანთა ორგანიზაციაში შევედით; 1943 წლის 14 მარტს იგი გმირულად დაიღუპა გერმანელი ჯალათების ტყვიით საშინელი ტანჯვა-წამების შემდეგ, რომელიც გადაიტანა მრავალი თვეობით პატიმრობისას. 1942 წლის აპრილში ელემში დამჭრა და დამაპატიმრა ცხრა ფრანგმა და სამმა გერმანელმა პოლიციელმა. ეს მოხდა საღამოს 9 საათზე. გარსშემოერთყნენ სახლს, სადაც ვიმალებოდი; ლილელმა პოლიციელმა დელანუამ (საგანგებო ბრიგადიდან) სამჯერ მესროლა, დამჭრა მუხლსა და თეძოში, ძირს დავეცი, პოლიციელებმა შემიპყრეს. და ეს ადამიანები კიდევ ბედავენ ფრანგებად იწოდებოდნენ! წამიყვანეს ლილში ცენტრალურ საპოლიციო სამმართველოში, და იქ დილის რვა საათამდე მაწამებდნენ, მცემდნენ მუშტებით, მცემდნენ ჯოხებით, სადაც კი მოხვდებოდა. სამმართველოს უფროსმა, პოლიციის კომისარმა როშამ თვითონ ჩამაზილა წიხლები სახეში; თუმცა სისხლისაგან ვიცლებოდი (შემდეგ ქირურგს უთქვამს —



დაუყოვნებლივ ჰოსპიტალში უნდა გაგეგზავნათ), — მაგრამ წამება მაინც გრძელდებოდა.

ჩემი ვინაობა გავამელავნე მხოლოდ დილის ხუთ საათზე, აუტანელი ტანჯვა-წამების შემდეგ: ჯალათებმა მთელის ძალღონით დამიჭყლიტეს და სკამზე მიმიჭყყყეს სასქესო ორგანოები. ცდილობდნენ ჩემს გამოტეხვას, რათა გამეცა ჩვენი შეხვედრის ადგილები, მაგრამ მე ვუმტკიცებდი მათ, არცერთ იატაკქვეშელს არ ვიცნობ და შეხვედრის ადგილებიც არ ვიცი-მეთქი.

დაბოლოს, 25 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ცოცხალმკვდარი წამილეს სენ-სოვერის ჰოსპიტალში; ძლიერ სუსტად ვიყავი, ექვსი დღე უგრძნობლად ვიწექი, სიკვდილის პირად მიგდებულნი; ორი ოპერაცია გამიკეთეს. დღისითა და ღამით მითვალთვალებდა პოლიციის ოთხი შეიარაღებული ინსპექტორი, თუმცა მკერდამდე თაბაშირში ვიყავი ჩასმული. აქ მინდა მადლობა გამოვუცხადო ჩემს მომვლელ დას და ანდრე ფელეს სახელობის პალატის ავადმყოფებს. — ჩემდამი გრძნობიერი მოპყრობისათვის.

1942 წლის თორმეტ ნოემბერს გადამიყვანეს გერმანელთა ჰოსპიტალში (კალმეტში), სადაც სამთვე-ნახევარი დავყავი; იქიდან გამგზავნეს ლოოსის საკატორღო საპატიმროში; იქ 20 თებერვალს ჩა-



ვედი. ერთი კვირის შემდეგ დაკითხვაზე გამოძახა-  
ხეს, ხელებით ჩამომკიდეს, და ასე ვეკიდე ხუთ  
საათს; ბარბაროსებმა კი, რომლებსაც აქ გამომძიებ-  
ლებს ეძახიან, კრივის სავარჯიშო ბურთად მაქცი-  
ეს. კიდევ მეორედ შემკრეს და შიშველი გამაწვინეს.  
ზედ იატაკთან დამაგრებულ სამწვეტიან რკინაზე, —  
ერთზე თავი მედვა, მეორეზე — წელი, მესამეზე —  
ფეხები და ასეთ მდგომარეობაში სამ საათს გა-  
მაჩერეს. შემდგომ დაკითხვებისას კი თავზე ელექ-  
ტრონის ხუფს მახურავდნენ და ყოველთვის მზე-  
ცურად მცემდნენ ხარის ძარღვებისაგან დაწნული  
მათრახებით (მთელ ზურგზე ახლაც ზოლ-ზოლად  
მაჩნია); ოთხ-ოთხ დღეს არაფერს მაქმევდნენ და  
საქმელით სავსე კარდალით მალიზიანებდნენ.

მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი წამებისა, ამ-  
ხანაგები არ გავეცი, არცერთი არ გავეცი და ყო-  
ველთვის უარყოფდი ბრალდებებს. დაბოლოს, ამან-  
ათის მიღების ნება დამრთეს და მივიღე ოთხი  
ამანათი, მაგრამ კვლავინდებურად მარტო ვიყავი  
საკანში; ორთვე-ნახევარს სასეირნოდ არ გამიშვეს.  
1943 წლის 28 ივლისს გადამიყვანეს ლოოსის სა-  
პატიმროდან, ამ ნამდვილი ჯოჯოხეთიდან, და იმა-  
ვე დღეს სალამოთი არასის საპატიმროში ამოვყავი  
თავი. კვლავ მარტო ჩამსვეს საკანში, ამანათების  
მიღება ამიკრძალეს; ისევ დაიწყო დაკითხვები და





წამება. უარყოფდი წამოყენებულ ბრალდებებს მაგრამ ჯალათ გამოძიებლებმა, ყალთაბანდობით, გამოძიების მასალებში ყალბი საბუთები შემოაპარეს, რაშიც სასამართლოში დავრწმუნდი. დაბოლოს გადამიყვანეს საერთო საკანში; მარტობაში შვიდ თვეზე მეტი გავატარე, ვიტანჯებოდი იქ შიმშილით, კრილობებისაგან, მაგრამ მაინც არ დამიკარგავს მხნეობა და ხალისი. 1943 წლის 6 ოქტომბერს გათამაშდა სასამართლოს კომედია (ჩვენს ვეჭილს სხდომის დროს ეძინა, ის შეანჯღრიეს, და მან საცოდავი სიტყვა წაიბურტყუნა). სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანეს. იმ დღეს ხუთს სიკვდილი მიუსაჯეს, მათ შორის ჩემს მამაც მეგობარს ჟორჟ ლუბეს, იგი ნამდვილი მამა იყო ჩემთვის. მიუხედავად ყოვლისა, კვლავინდებურად ვიციანი და ვმღერი; უკანასკნელ წუთამდე დავრჩები ფრანგ კომუნისტად; არაფერს ვნანობ, მხოლოდ ცოტა გული მწყდება რომ ბევრის გაკეთება ვერ მოვასწარი; ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, ამავე გზით ვივლიდი. ვამაყობ შენით, ჩემო დიადო კომუნისტურო პარტიავ, ვამაყობ შენი უანგარო შვილებით, — ყოველდღიურად ჰკლავენ მათ მტრები, მაგრამ არ შეუძლიათ რაიმე წამოაცდენინონ. როცა დასახვრეტად წამიყვანენ, მე ვიმღერებ „მარსელიოზას“ და „ინტერ-



ნაციონალს“, და გული იგრძნობს სიხარულს იმის გამო, რომ ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ როგორ იხევენ უკან ტევტონთა ურდოები სახელოვანი წითელი არმიის დარტყმებით, ვხედავთ, როგორ იზრდება წინააღმდეგობა ჩვენს ქვეყანაში, ვხედავთ, — რომ კომუნისტური პარტია წინანდელზე კიდევ უფრო ძლიერი გახდა.

სიკვდილს არ ვნანობ. ვიცი, ჩემთვის და ჩემი ამხანაგების გამო შურს იძიებენ, — ყოველდღიურად პარტიზანთა ტყვიისაგან იღუპებიან გამცემლები და რეგვენი ჰიტლერელები. ბევრი ჩვენგანი დაიღუპა. ჩემს უკანასკნელ წერილში მივესალმები თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს და მათ შორის — ჟიულიენ აპიოს (ჯალათებმა ვერაფრით მოახერხეს მისი მოსყიდვა), მივესალმები შარლ დებარჟს, ოგიუსტენ ლამბერს, ჟიულ დიუმონს, არმან პილიარს (ის მოკვდა წამებისაგან, ორი დღელამე უპატრონოდ ეგდო შიშველ იატაკზე), მივესალმები ჩემს ძმა მორისს, და კიდევ რამდენია ასეთი!..

ახალგაზრდა ფრანგებო, ნუ დაივიწყებთ ამ გმირებს! მათი სახელები სამარადისოდ დარჩება ღირსებისა და მამაცობის სინონიმად.

ჩემთან ერთად გულდამშვიდებით ელიან თავიანთ უკანასკნელ წუთებს ჩემი ამხანაგები. ფრანგო



კომკავშირელებო, პარტიზანებო, ნურც ერთი წუთით ნუ დაეცემით სულით, ნუ შეუშინდებით მუქარას! დაე უფრო ძლიერად აღეგზნოს თქვენს გულში პატრიოტიზმისა და თავისუფლების სული, რომელიც ჩვენ გვაფრთოვანებდა. განდევნეთ მტერი საფრანგეთიდან, დასცხეთ გამცემლებს, იყავით უღმობელნი! ნუ დაგვიტირებთ, უფრო მაღლა ამართეთ საბრძოლო დროშა! შური იძიეთ ჩვენთვის, ამხანაგებო!

პატიოსანო ადამიანებო, თქვენ ყველას, ვინც ჩვენს გზას მოყვებოდით, მე გეუბნებით მაღლობას იმათი სახელით, ვინც უკვე დაიღუპა და ვინც მომავალში ბრძოლის ველზე დაეცემა.

მე ოცდაერთი წლისა ვარ, რამდენიმე დღის შემდეგ გამოვეთხოვები ჩემს ნორჩ სიცოცხლეს, მაგრამ ვკვდები იმისათვის, რათა საფრანგეთის ვაჟები და ქალები იყვნენ თავისუფალნი და ბედნიერნი. არ გამიცია ჩემი პარტიის საქმე, გზორდებით ღიმილით და სიმღერით. სიკვდილი არ მაშინებს.

მშვიდობით, ამხანაგო ფრანტირებო, მშვიდობით, კომკავშირელებო, მშვიდობით, ჩემო დიადო პარტიავ, მშვიდობით, ჩემო მშვენიერო სამშობლოვ! სიკვდილის კარზე მდგარი — მოგესალმებით!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!  
გაუმარჯოს საფრანგეთს!


პოლ კამფენი



გილიოტინით თავი მოკვეთეს 1943 წლის 8 ივლისს კუნენსში, იყო ოცდაერთი წლისა. მის დასჯამდე ცოტახნით ადრე გერჰანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს მისი უფროსი ძმა.

ამხანაგებო!

გწერთ რამდენიმე სტრიქონს საკანიდან. 1943 წლის 17 ივნისს განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა სასიკვდილო განაჩენი გამომიტანა. მაგრამ იცოდეთ, ამხანაგებო, ამას არ შეურყევია არც ჩემი რწმენა ჩვენს გამარჯვებაში, არც ჩემი სიმამაცე. მე მოვკვდები მოვალეობის გულისათვის. გავხდები ვიშელი ხროვისა და მათი ლაქიების მსხვერპლი. თქვენ კი, ამხანაგებო, ყველას, ვისაც კიდევე შეგიძლიათ განაგრძოთ ბრძოლა, გთხოვთ: იყავით ულმობელნი, შეუბრალებელნი ჩვენი მტრების მიმართ, საერთაშორისო ფაშიზმის მიმართ, ჰიტლერული გერმანიის ფრანგი დამქაშებისადმი, ფრანგი ხალხის სისხლისმსმელებისადმი. ყველა ძალღონით, ყოველგვარი ღონისძიებით დაეხმარეთ ჩვენს სახელოვან



რუს ამხანაგებს, რომლებიც უკვე ორი წელია  
ეწევიან კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო  
გმირულ ბრძოლას, თავიანთ სისხლსა ღვრიან ევ-  
როპის გადარჩენისათვის, ფაშისტური ურდოები-  
საგან საფრანგეთისა და ყველა დამონებულ ხალხ-  
თა განთავისუფლებისათვის.

ამხანაგებო, ჩემი სიკვდილი და მრავალი ათასი  
ჩვენი მებრძოლის სისხლი ღაღადებს შურისგები-  
სათვის. მე ვთხოვ ყველას, ვინც გადარჩა თავისუ-  
ფალი, მთელის ძალღონით იბრძოლეთ, დასაჯეთ,  
სამშობლოს მოღალატენი, ფრანგი ხალხის გამცემ-  
ნი. გაანადგურეთ ჰიტლერელთა სამხედრო მანქანა,  
შური იძიეთ გამცემლებზე!

გაუმარჯოს საფრანგეთს!

გაუმარჯოს სსრ კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

ლუი კარონი  
მატრიკული 2002

---






დახვრიტეს წამების შემდეგ 1944 წლის  
11 აპრილს. დაკრძალულია ივრის სასაფ-  
ლაოზე. სიკვდილს შემდეგ მიენიჭა ფრან-  
ტირერთა და პარტიზანთა ორგანიზაციის  
საპატიო კაპიტნის წოდება.

1944 წლის 2 აპრილი

ჩემს საყვარელ მეუღლეს,  
ძვირფას შვილებს  
და ყველას, ვინც მიყვარს.

ოთხი თვის ტანჯვის შემდეგ წარვსდექით სამს-  
ჯავროს წინაშე მან კი სასტიკი დასკვნა გამოი-  
ტანა: ოცდაათიდან ოცი კაცისათვის სასიკვდილო  
განაჩენი. ეს საშინელებაა, მაგრამ არაფერზე არ  
ვწუხვარ, სინდისი დამშვიდებული მაქვს. ჩემი თავი  
კი არ მეცოდება, — თქვენ მეცოდებით, მაწუხებს  
თქვენი სავალალო ბედი. ჩემო ძვირფასო, უნდა  
მოიკრიბო ძალღონე და დაამთავრო ჩვენი ოთხი  
გოგონას აღზრდა, რომელთაც ასე უდროოდ მო-  
აკლდება ჩემი ზრუნვა.




ჩემი მსხვერპლი ამოა როდი იქნება. დამთავრდება მძიმე განსაცდელი და დადგება ნათელი დღეები.

ჩვენ პოლომ გაგვცა ყველანი. მისთვის არ არსებობს არავითარი შებრალება. გავალებ შენ და ვავალებ ამხანაგებს, მოჰკალით იგი, სადაც კი მოასწროთ. შესაძლებელია შენთან მოვიდეს ჩემთან ნამყოფი ვინმე ლ..., ნუ ენდობი მაგ ძალს...

მე ვიყავი ფრანტირერებისა და პარტიზანების რაიონული ორგანიზაციის წევრი, მატრიკული 5435-ე. იმ შემთხვევაში, თუ ჩემი საქმე ცუდად წავიდა, შენ და ბავშვებსაც პენსიის მიღების უფლება გაქვთ, და ნურასოდეს დაივიწყებ: ოთხი დღის განმავლობაში მაწამებდნენ, მაგრამ არაფერი მითქვამს, არცერთი ამხანაგი არ გამიცია.

ბრალდებად წამომიყენეს, რომ ჩამოაყალიბე რაზმები და მათს საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდიო. აი გვარები ჩვენი მწვალებელი არამხადებისა: გოტერი, ფეიდო, დავიდი (გასტონ ჟოზეფი), დენი, ლებუშე, ტავერნი, კლაინი, — ესენი ნამდვილი ავაზაკები არიან.

გასინჯეთ ჩემი ფეხსაცმელები და პალტოს მარჯვენა ჯიბე: იქ ნაწიბურებში დამალულია მისამართები. თუ რაიმე შემემთხვეს, მონახეთ ჩემთან მომუშავე ამხანაგები: ისინი დაგეხმარებიან.



სალამი რობერ ბ...ს, რენეს, ზაზას, მარსეიეზეს  
და ყველა მეგობარს; ჩემს მაგივრად ბოდიში მოი-  
ხადე ჩვენს კეთილ სესილთან, რომელსაც ბევრი  
საფიქრელი და საზრუნავი გავუჩინე. მადლიერი  
ვარ მისი, რადგან ასე კარგად გაიგო ყველაფერი,  
რაც გადავეცი. მაგრად, მაგრად აკოცე მას, ისე  
როგორც ჩვენს გულად მარიასაც.

სულითა და გულით გეამბობრებით.

მარადის თქვენი ეჟენი

\* \* \*

ფრენის საპატიმრო, 1944 წლის 11 აპრილი, 11 საათი

ჩემო ძვირფასო მეუღლე,  
და ჩემო საყვარელო შვილებო!

ეს-ეს არის გვაცნობეს, პატიებაზე უარი სთქვე-  
სო. ნაშუადღევის სამ საათზე მე და ჩემი ამხა-  
ნაგები უნდა მოვკვდეთ. ამას ველოდი. საშინელმა  
ცნობამ მხნეობა ვერ დამიკარგა; არაფერს არ ვნა-  
ნობ! მთელი ჩემი წარსული არის ცხოვრება მეტრ-  
ძოლისა, რომელმაც სინდისიერად შეასრულა თა-  
ვისი მოვალეობა, და იყო ოჯახის მოყვარული  
მამა.

შენ არასოდეს არ გაწითლდები ჩემს გამო, შენ  
და ჩვენს გოგონებს შეგიძლიათ იაროთ ამაყად




თავაწეული. იყავი მუდამ ღირსი იმ ადამიანისა, რომელსაც გერმანელმა ფაშისტებმა სიკვდილი მიუ-საჯეს. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, ნუ დამივიწყებ ნურასოდეს. იმედი მაქვს, ბავშვებს კეთილ გზაზე დააყენებ, შესძლებ მათ აღზრდას ჩემს მიერ დასახული მიმართულებით. შენთვის ძნელი იქნება მათი მოვლა-პატრონობა, მათი სწავლა, მაგრამ იმ საზოგადოებრივი წესწყობილების პირობებში, რომელიც ჩვენში დამყარდება, შენ დაგეხმარებიან; დაგეხმარებიან აგრეთვე ჩვენი მეგობრებიც. დაიხსომე: ჩემი მატრიკულის ნომერი 5435-ეა, რაიონული სამხედრო რაზმი.

გთხოვთ, არც შენ და არც ბავშვებმა შავები არ ჩაიცვათ. ეს არის ჩემი უკანასკნელი ნება-სურვილი. თუ გსურს, — მხოლოდ ბავშვების გულისათვის, — ახლებურად მოაწყე შენი პირადი ცხოვრება. საბრალო ბავშვები, ასეთი ცხოვრება როდი მინდოდა შემექნა მათთვის. ბედმა სხვაგვარად განსაჯა.

ნუ დამიტირებთ; შეინარჩუნეთ მხნეობა; ახლა იგი განსაკუთრებით გამოგადგებათ ცხოვრებაში. რაც შესაძლებელია, ყველაფერი გაყიდე, რომ ცოტა ფული მოაგროვო და ერთხანს თავი გაიტანო. ანრი დაგეხმარება ამაში.

იქნებ, ჩემი უკანასკნელი წერილი მშრალი გამოვიდა, ეს იმიტომ, რომ ქალაქი აღარ მყოფნის.



პოლ ს. დამნაშავეა ყველაფერში, რაც მოხდა, — დაიხსომე ეს. ჩემს მაგივრადაც აკოცე ყველას, ვისაც ვუყვარდი და ვინც მიყვარს, ყველა მეგობარს და ნათესავს, განსაკუთრებით ჩემს საყვარელ დაიკოს, მის გოგონას და ქმარს, სესილს, მარიას, ყველა მეზობელ მეგობარს, რომლებიც არასოდეს მივიწყებდნენ განსაცდელის უამს.

გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, ჩემო ძვირფასო მეუღლე.

მაგრად მიგიკრავთ გულთან შენ და ჩვენს გოგონებს; ახლა თვალწინ მიდგას ჩვენი მშვენიერი ცხოვრების წუთები.

მაგრად, მაგრად გეამბორები.

გაუმარჯოს საფრანგეთს და მის მეზობელთა პარტიას!

\* \* \*

ე. კლოტრიე


ფრენის საპატიმრო, 1944 წლის 11 აპრილი

ჩემს ძვირფას გოგონებს —

ივეტას, ჟილბერტას, მიშელს და ლილიანას.

უაღრესად სასტიკი რეჟიმის პირობებში მედგრად ვშრომობდი თქვენი არსებობისა და თქვენი ახლობლების ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ვიბრ-





ძოდი ომისა და მისგან გასუქებული ადამიანების წინააღმდეგ; ამ ომისაგან მოყენებულ ფიზიკურ და მორალურ ტანჯვათა შემდეგ მე დამაპატიმრა საფრანგეთის პოლიციამ და გადამცა გერმანელთა ხელისუფლებას, რადგან გავბედე ბრძოლა ჩვენს მიწაწყალზე დამპყრობელთა შემოსევის წინააღმდეგ. სასამართლოს კომედიის შემდეგ ოცერთგულ ამხანაგს სიკვდილით დასჯა გადაგვიწყვიტეს.

დღეს დადგა უკანასკნელი საათი. მძიმე, მოუბრუნებელი საათი ჩემო პაწაწინებო, ძალიან გთხოვთ, მოუარეთ დედას. ახლა მარტო მას მოუხდება თქვენი მოვლა და აღზრდა. გიყვარდეთ იგი, მუდამ იყავით მისთვის კარგი ქალიშვილები, რითაც შეგიძლიათ — დაეხმარეთ მას, ყოველთვის დაეხმარეთ და ხელი შეუწყვეთ ერთმანეთს.

შემდეგში, როცა წამოიზრდებით, ღრმად ჩაუფიქრდით ამ წერილს, რადგან ეს არის მამათქვენის უკანასკნელი სტრიქონები. იყავით ძლიერი და პატიოსანი ქალები და ოჯახის კარგი დედები, როცა გათხოვდებით. ნუ დაივიწყებთ მამათქვენს და იმასაც, თუ რა იყო იგი თქვენთვის, — მე ხომ მინდოდა შემექმნა თქვენთვის ყველაზე ნათელი ცხოვრება. ბე ღმა სხვაგვარად განსაჯა...

გახსოვდეთ ეს და იარეთ ჩემგან დასახული გზით.



თქვენ უკეთესი მომავალი გიღიმით. გშორდებით დამშვიდებული იმით, რომ ჩემი მსხვერპლი ამაო არ იქნება. გახსოვდეთ: ყოველთვის ვიყავი და უკანასკნელ წუთამდეც დავრჩები პატიოსანი. მალლა ასწით თავი! იყავით მუდამ შეურიგებელი გამცემთა მიმართ.

ჩემს მაგივრად აკოცეთ ნათესავენს და ყველას, ვინც მუდამ მიყვარდა.

მაგრად გეხვევით და გიძღვნით უკანასკნელ სალამს. ათასჯერ გკოცნით.

მშვიდობით, ძვირფასო შვილებო... მშვიდობით

თქვენი მამა ე. კლოტრიე.






# მორის ლაკაზეტი

მუშა - მელითონე. დააპატიმრეს 1942 წლის მაისში; წამების შემდეგ მათავსეს საპატიმროს საავადმყოფოში, საიდანაც გაიქცა და დაუბრუნდა იატაკქვეშურ საქმიანობას. 1943 წლის იანვარში ლაკაზეტი ასრულებდა საპასუხისმგებლო პოლიტიკურ მუშაობას ბუეტანის ფრანტირერთა და პარტიზანთა ორგანიზაციაში. კვლავ დაპატიმრებულ ლაკაზეტს სიკვდილი მიუსაჯეს და დაავრითეს 1943 წლის 25 აგვისტოს.

(ნაწევრი ცოლისადმი წერილებიდან)

1943 წლის 20 თებერვალი

როგორც იქნა, საშუალება მომეცა დაგიკავშირდეთ იმ ადამიანთა მეოხებით, რომლებმაც იკისრეს ჩემი წერილი მოგიტანონ, ჩემი ამბავი გაცნობონ. მაგრამ ნეტავი როდის მოაღწევს იგი შენამდე?.. არ ვიცი. ალბათ, მაშინ ცოცხალიც აღარ ვიქნები. შენ კი მაინც მიიღებ ჩემს წერილს. რა მოულოდნელი ბედნიერებაა! რასაკვირველია, მე ვამჯობინებდი სიკვდილის წინ დაუფარავად მომეწერა შენთვის ყველაფერი, მაგრამ ამის იმე-



დი არა მაქვს. მერე და რამდენი რამ მინდა გიხ-  
რა! რაოდენს განიცდი ასეთ წუთებში...

ამ წერილის მომტან ამხანაგს შეუძლია ბევრი  
რამ გიამბოს ჩვენს ცხოვრებაზე. ჯერ ერთი, —  
მტანჯავს შიმშილი: ყოველთვის და მუდამ მშია;  
მეორეც, — საშინელი სიცივეა, შემდეგ — მენატრე-  
ბა თამბაქო (ვერაფრით ვერ გადავეჩვიე) ხოლო,  
რაც მთავარია, დილით რომ ვიღვიძებ, — კვრძნობ,  
სიკვდილი სასთუმალთან მიდგას. რასაკვირველია,  
ჩემთვის ეს ახალი როდია, მე მეორეჯერ ვიმყო-  
ფები საპატიმროში, მაგრამ ახლა კი, მე, „ტერო-  
რისტთა“ მეთაური, თავს ვერ დავალწევ აქედან, —  
თუ არ მოხდა რაიმე სასწაული, მაგრამ ამის იმე-  
დი თანდათან მეკარგება და რაღაც არ უნდა და-  
მიჯდეს, მინდა შევეჩვიო იმ აზრს, რომ აუცილებ-  
ლად გავქრები.

ჩვენამდე რომ აღწევდეს ამბები, მაშინ იმედი  
მოგვეცემოდა. მაგრამ აღარაფერი ვიცი! არა,  
ჩვენ მაინც გავიგეთ: ხარკოვი აიღესო! — უთუოდ,  
კიდევ უფრო წინ წავიდნენ, ჩვენ კი ყველაფერს  
გვიმაღავენ.



აი ჩვენი გასართობები საპატიმროში: საკნის და-  
ლაგება, პარიკმახერი, შხაპი, ყოველდღიურად სამგ-  
ზის კვება (წყალ-წყალა წვენი), უკანასკნელ დღეებში  
ძლიერ გახშირებული საჭაერო განგაში და დერე-



ფანში ჯარისკაცთა ჩექმების ბრაგუნი, რაც მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰქმნის. მაგალითად, შაბათს, 13 თებერვალს, მეზობელ საკანში ვაისმა ჩექმების ბრაგა ბრუგი და იქიდან დასახვრეტად გამოიყვანეს ოცდასამი ჩვენი ამხანაგი; ისინი „მარსელიოზის“ სიმღერით შეხვდნენ ჯალათებს. ამ წერილის გადმომცემი ამხანაგი მოგითხრობს, თუ რა განვიცადეთ ჩვენ.

აჰა, ჩემი ცხოვრების მთელი გარეგნული მხარე, — როგორც ხედავ, არც ისე ბრწყინვალეა. სამაგიეროდ შინაგანი ცხოვრება უფრო დაძაბულია. რამდენი ოცნება, რამდენი მოგონება! უწინარეს ყოვლისა, ორი მოწაფე მყავს (ერთერთ მათგანს შენ ინახულებ). დარწმუნებული ვარ, ჩავაბამ მათ ჩვენს ბრძოლაში. ვესაუბრები მათ, ვეუბნები, თუ ვინა ვართ, რა მიზანს ვისახავთ, როგორი საზოგადოებრივი წყობა გვინდა დავამყაროთ. მთელ ჩემს რწმენას ვაქსოვ ამ სიტყვებში, და თუ ვამაყობ ჩემი სიცოცხლითა და უკვე მოახლოებული სიკვდილით, ვამაყობ იმიტომ, რომ მტკიცედ მწამს ჩვენი საქმის გამარჯვება, მწამს, რომ აღამიანები იქნებიან ბედნიერნი. გასაგებია, ხანდახან გულს გაჰკენწლავს მწვავე წუხილი, მაშინ აღარ ვიქნები ცოცხალი და ყველაფერ ამას ვერ დავინახავ-მეთქი, მაგრამ მაიმედებს ის ფიქ-






რი, რომ არ დაგვივიწყებენ. ჩვენ ხომ ყველაფერი  
გავიღეთ ამ მიზნის მისაღწევად. საყვარელო, შენ  
კარგად მიცნობ, და, რასაკვირველია, მე შენ არ  
დაგიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს საუბრები,  
დავა, მსჯელობა მიტაცებს მე და ალამაზებს ცი-  
ხეში ცხოვრების ერთფეროვან საათებს.

მაგრამ არის სხვა რაიმეც, რაც ხშირად მახა-  
რებს და მასევედიანებს კიდევ მარტოობის ჟამს,  
როცა ოცნებით შენსკენ გადმოვფრინდები, ჩემო  
ძვირფასო ლ., ვფიქრობ შენზე უღრმესი სიყვა-  
რულითა და სინაზით.

მე აქ თანა მაქვს ჩვენი ფოტოსურათი, — ის  
ჩვენ გადავიღეთ 1938 წელს, ნეფე-დედოფალსა-  
ვგევართ, და როცა დავსცქერი ამ სურათს, ცრემ-  
ლები ყელში მებზინება, — ეს ხომ ჩვენი ყოფილი  
ბედნიერების გამოხატულებაა; და ვუსაყვედურებ  
ჩემს თავს: „რატომ არ გავუფრთხილდი ამ ბედ-  
ნიერებას - მეტქი“. ხშირად აი რაზე ვფიქრობ:  
ჩვენ თითქოს ერთმანეთისათვის ვართ შექმნილი,  
შეგვეძლო მიგვენიჭებინა ერთმანეთისათვის ბედ-  
ნიერება, მაგრამ ამისათვის კაცი უთუოდ უფრო  
პატივმოყვარე უნდა იყოს, უფრო მეტი იფიქროს  
საკუთარ ცხოვრებაზე, მთელი სულითა და გულით,  
უანგაროდ არ უნდა შეეწიროს დიად ამოცანას,  
რომელმაც გამიტაცა ასე მთლიანად. მაგრამ არ



იფიქრო, საყვარელო, გული მწყდებოდეს, ამ საქმეს რად მოვკიდე ხელი-მეთქი, ან ვნანობდე, რომ ბრძოლაში ჩავები. არა! უამისოდ არც შემეძლებოდა ცხოვრება; და თუ უფლება მაქვს რითიმე ვამაყობდე ახლა, როცა სიკვდილის კარებთან ვდგევარ, ეს არის ჩემი მხედრული პატიოსნება, ჩემი ერთგულება პარტიისა და პარტიის საქმისადმი.

ხოლო გული მწყდება და საშინლად მაწუხებს სულ სხვა რამ; რატომ ვერ გაგხადე უფრო ბედნიერი? ვშიშობ, ამის გამო არ დავრჩე შენთვის მარტოოდენ მოგონება; და ცხოვრებაც, მთელი თავისი ვარამითა და ჭაპანწყვეტით მალე წაშლის ჩემს ხსოვნას. ძვირფასო, ჩემო საყვარელო, იფიქრე ჩემზე, უთხარი შენს თავს — იგი, ჩემი ლ. ცუდი როდი იყო-თქო. თუ ყველაფერს ღრმად ჩაუფიქრდები, შენ იამაყებ ჩემით. ხომ იცი, აქედან თავი რომ დამეღწია, გაგაბედნიერებდი, დარწმუნებული ვარ.

ეჰ, რა კარგი იქნებოდა შენთან ერთად მოგზაურობა ზურგზე ჩანთა მოკიდებული, ისე როგორც ჩვენი სიყმაწვილის დღეებში! ალპები, პირენეი, ბრეტანი... აი სიგიჟე! ეტრფოდე ცხოვრებას, როცა სამარის პირას დგებარ!

გახსოვს, როგორ ვოცნებობდით ბავშვებზე, გოგონაზე?.. როგორ მტკივა ახლა გული ამაზე ფიქ-


რით. ასე მგონია, ბავშვი რომ გვეყოლებოდა, შენ  
სამუდამოდ ჩემი იქნებოდი... ხედავ, მალე უნდა  
მოგკვდე და მე კი ყველაზე უფრო მტანჯავს ფიქ-  
რი შენთან ცხოვრებაზე.

„ცხოვრება“ — ეს იყო პირველი სიტყვა, რომე-  
ლიც მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა დედამ<sup>1</sup>. გახ-  
სოვს?

ვფიქრობ, ჩემამდე დაღუპული ამხანაგები სიკვ-  
დილის წინ ამავეს განიცდიდნენ: სწამდათ ჩვენი  
საბოლოო გამარჯვება, ურყევად სწამდათ და  
უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ქადაგებდნენ ჩვენს  
ჭეშმარიტებას, და ბავშვივით ნანობდნენ: დიადი  
ოცნების განხორციელებას ვეღარ მოვესწრებითო.  
უნდა მოვიშორო ყველა ეს ფიქრი, რომელიც  
მახალისებს და თანაც გულს მიწამლავს. ვიმუსაი-  
ფოთ შენზე. რა მოგივიდა შენ? თავს გაუფრთ-  
ხილდი... იმედი მაქვს, სამუშაოს იშოვნოდი, მო-  
უცლელი იქნები და გაპირვებას აღარ განიცდი-  
თუ ჩვენს მეგობრებს შეხვდე, შეგიძლია უთხრა,  
ზორბა-ბიჭი შეუღრეკელი იყო-თქო. ეჰ, შენ-  
გან ერთი სიტყვის მიღება მაინც შემეძლოს. მაგ-  
რამ სადღაა! ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია!..

ახლა კი, ჩემო საყვარელო, ჩემოდვირფასო, უნ-

<sup>1</sup> „დედა“ — მაქსიმ გორკის რომანი.



და დავშორდეთ ერთმანეთს. მშვიდობით სამუდამოდ. თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ რამდენადაც ჩვენს საქმეში ბრალდებულები ცოტა არიან, სასამართლო დიდხანს არ გაკვიანურდება, და მალე (ჩემდა სასიამოვნოდ ცოტას კიდევ წავუმატებ დღეებს) აპრილის ბოლოს ცოცხალთა სიიდან ამომშლიან. ამის შესახებ გაიგებ წერილის მომტანისაგან; იგი მოგნახავს შენ და, იქნებ, გიჩვენოს კიდევ, სად ვიქნები დამარხული. და ოდესმე შენ მოხვალ ჩემს სამარესთან, რომ დამიტორო, — მე ხომ ექვი არ მეპარება შენს სიყვარულში, და ეს შვებასა მგვრის და უფრო მამშვიდებს.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეუღლე. ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ, და უკანასკნელი ჩემი ფიქრები შენ დაგტოილებს. უკანასკნელ წუთებში დავინახავ შენს სახეს და ვითხოვ შენგან პატიებას, თუ რაიმე გაწყენინე, თუ ბედნიერება ვერ მოგანიჭე. მშვიდობით, ჩემო პატიარავ... ვემშვიდობები ყველა საყვარელ კუთხეს, სადაც გვიყვარდა ერთმანეთი. ძალა აღარ მყოფნის, რომ გითხრა, — სხვასთან ეძიებედნიერება-მეთქი; მაგრამ, თუ ოდესმე ბავშვი შეგეძინოს, ჩემი სახელი დაარქვი, თუ შენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გექნება. მხოლოდ არ იფიქრო, ხელფებს გიბორკავდე, ამას არ მოვითხოვ. ასე დაარქვი მას, თუ მოისურვებ და თუ ეს



არავისათვის საწყენი არ იქნება. მშვიდობით, საყვარელო. კიდევ მრავალსა და მრავალს ვიფიქრობ შენზე და დარწმუნებული ვარ, შენც ფიქრობ ჩემზე. ვიცი ჩემდამი შენი სიყვარული, შენი დიდი სიყვარული.

მაგრად გეხვევი და ნაზად გეამბორები.

მშვიდობით, ამხანაგებო, მშვიდობით, მუშებო, ჩემო ძმებო! ცხოვრება მშვენიერი იქნება, ამიერიდან მოისპობა სიძულვილი, ხალხის უფლება წმიდათა-წმიდად გადაიქცევა. მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ ამისათვის, ვიბრძოლოთ თავგანწირულად, ყველაფერი შევწიროთ გამარჯვებას, მივბაძოთ გამარჯვებისათვის თავდადებულთა მაგალითს.

მორის ლაკაზეტი

\* \* \*

უთარილო

ლ., ჩემო ძვირფასო!

მთხოვ, დაწვრილებით მოგწერო, თუ როგორ ვცხოვრობ. საკანში სამნი ვართ. მაგრამ ჩემი ამხანაგები აქ არ არიან — კომუნისტები ერთმანეთს დაგვაშორეს. რეჟიმი მკაცრია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე შარს გვდებენ, წიგნებს არ გვაძლევენ, ამანათის მიღებას გვიკრძალავენ, თამბაქო არა გვაქვს,





ფხიზლად გვითვალთვალევენ, საკმელს საჩაიე კოვ-  
 ზით გვიწყავენ. რაც შეეხება სასამართლოს, ორი  
 თვის წინათ ესესელებმა დამკითხეს; ვფიქრობ,  
 დასასრულს დიდი ლოდინი არ დასკირდება; მაგ-  
 რამ იგი როდი მაშინებს, მე ძლიერი ვარ ჩვენი  
 რწმენით და სიკვდილს ისე შევხვდები, როგორც  
 კომუნისტს შეშვენის. მხოლოდ შენი მდგომარეო-  
 ბა მაშინებს... ვფიქრობ, მუშაობას გააახლებდი...  
 ვერ დავფარავ; ამით დიდად ბედნიერი ვიქნებო-  
 დი და ვიამაყებდი, მაგრამ ფრთხილად იყავი...

ამანათებს ჯერჯერობით ნუ გამოგზავნი, სულ-  
 ერთია არ გადმომცემენ, თვით ესესელები მიირთ-  
 მევენ. ის, რაც გთხოვე, თეთრეულში დამალე, —  
 ასე უფრო საიმედოა.

მაცნობე შენი ამბავი, საყვარელო, რაც შეიძ-  
 ლება ვრცლად მომწერე და ფრთხილად იყავი.  
 გკოცნი მაგრად და მაგრად.

მ. ლ.

\* \* \*

**უთარილო**

**ჩემო ძვირფასო მეუღლე!**

ისევ აჭა ვარ. არავითარი ცვლილება არ მომხ-  
 დარა, მაგრამ კვლავინდებურად ვფიქრობ, რომ



საქმე არ გაჭიანურდება, და ყოველთვის მზად ვარ, — ჩექმები ძლიერ ბრახუნობენ დერეფანში.

შენ, ალბათ, მიიღებდი იმ ბარათს, სადაც გწერიდი ოთხშაბათს გამოგზავნილ ამანათზე. ისინი ეშმაკები არიან, მაგრამ მე ვაჯობე და იმედი მაქვს, ამ კვირაში მაინც ვჭამ პურს, და რაც მთავარია, თამბაქოს მოვწევ. თამბაქო გამომიგზავნე. რამდენი ხანია, ამაოდ ვცდილობ, თამბაქოს შოვნა მოვახერხო. მაგრამ ამჯერად, იმედია, ბედი გამიღიმებს. თუ გაიგე, რომ თამბაქო ვიშოვნე, გულში სთქვი: „ამ კვირაში ჩემი ზორბა-ბიჭი დიდად ისიამოვნებს-თქო“.

ჩვენი ცხოვრება კი ისევ ისეთია: სრული უცოდნელობა, არავითარი ახალი ამბები! ჩემი ჯანმრთელობაც ვერაა სახარბიელო. ხშირად მაციებს.

ხანდახან ასე მგონია, მოლოდინის ხანგრძლივი თვეები უფრო მძიმეა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებზე. მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანია. სულით მხნედა ვარ, ეს კი მთავარია. ჩვენი საქმე და შენ, — სხვა რამეზე ფიქრი არ მსურს სიცოცხლის დარჩენილ დღეებში, ამიტომაც ყველაფრის ატანას შევძლებ...

მ. ლ.



ლ., ძვირფასო ჩემო!

ძლიერ ვშიშობ, რომ ეს არის ჩემი უკანასკნელი ბარათი შენდამი. ამ დღეებში, ალბათ, გაგვასამართლებენ. ახლოვდება აღსასრული. სიცოცხლეს ბოლო ეღება. მაგრამ მხნეობა როდი მომიდუნდა, გული ისევ მაგრადა მაქვს. რწმენა მომავლისა, რომელიც ბედნიერებას მოგიტანთ შენ და ჩემს თანამებრძოლებს, — აი რა მმატებს ძალღონეს. ხანდახან ვოცნებობ ამ მომავალზე და სავსებით ნათლად ვხედავ იმას. იოტის ოდნავადაც არა ვარ დაექვევებული ჩვენი საქმის გამარჯვებაში. როგორი დიდი ნუგეშია ეს — ჩემი ძვირფასი საქმე და შენ, ჩემო სიცოცხლე! აი ჩემი ფიქრი, ჩემი უკანასკნელი ოცნება...

... თუ ოთხშაბათს წერილი გამომიგზავნო, მაცნობე, როგორია მდგომარეობა, და გულახდილად მითხარი, რას ფიქრობს ოჯახი.<sup>1</sup> ჩვენ აქ წყვილია დითა ვართ მოცულნი და ამბებს ვერ ვგებულობთ. რა ხდება გარეთ? მომწერე.

<sup>1</sup> ფრანგი კომუნისტები იატაკქვეშეთში „ოჯახს“ უწოდებდნენ პარტიას.



მე კი ყველაფერს გავუძლებ. ციებ-ცხელებიანი-  
 ვით ცოტა აღგზნებული ვარ. მაგრამ, ეს, ალბათ,  
 იმიტომ, რომ თამბაქო არა მაქვს. როგორ მინდა,  
 გასამართლების დროს თამბაქო მქონდეს. ყოველ-  
 გვარ გემრიელ საჭმელს, მერწმუნე — დავთმობ,  
 თუმცა მაინც საშინლად მაცოფებს, როცა ვხედავ,  
 თუ როგორ ამოარჩევენ ყველაფერ კარგს ამანა-  
 თიდან, როგორც ეს წინა ოთხშაბათს ჩაიდინეს, —  
 არც ერთი ნამცხვარი არ დაგვიტოვეს, შიმშილი-  
 საგან კი გული მიწანწალებდა. რა ვუყოთ! ეს  
 ჩვეულებრივი ამბავია მათთვის.

მშვიდობით, ჩემო მეუღლე, ჩემო სათაყვანო  
 მეუღლე. იყავი მხნედ და თავს გაუფრთხილდი.  
 საჭიროა, გადარჩე. გაღმერთებ. მაგრად გეხვევი.

მ. ლ.

\* \* \*

ძვირფასო ცუგრუმელავ!

მესამეჯერ ვცდილობ გაცნობო ჩემი ამბავი.  
 მაგრამ ნეტავი თუ მოასწრებ ჩემი წერილის მი-  
 ლებას გამგზავრებამდე?

ალბათ, უკვე გაიგე განაჩენის შესახებ: თხუთმეტ  
 კაცს სიკვდილი მიუსაჯეს, ერთი გაამართლეს, მე კი,  
 რასაკვირველია, პირველი ნომერი ვარ სიკვდილ-  
 მისჯილთა სიაში. როგორც ხედავ, დიდი პატივი





მომავეს, მაგრამ შებრალებას ნულარ ელი. გასა-  
 მართლება ოთხშაბათს დაიწყეს და პარასკევს სა-  
 ლამოს დამთავრდა: პროცესს საშინლად აჩქარებ-  
 დნენ, და ეს რაღაც განსაკუთრებული საზიზღრობა  
 იყო. ყველა ჩვენგანს ძლიერ კარგად ეჭირა თავი  
 სასამართლოში. განაჩენის კითხვას ბიჭები ვაჟკა-  
 ცურად ისმენდნენ.

პარასკევ სალამოს გადამიყვანეს სხვა საკანში,  
 და ახლა ჩვენ, სიკვდილმისჯილები, ყველანი ერთ-  
 თად ვზივართ, მაგრად შებორკილნი ვართ და  
 გაძლიერებული მცველები გვითვალთვალევენ. უმ-  
 ძიმესი წუთები განვიცადეთ — უნდა შევრიგე-  
 ბოდით სიკვდილით დასჯის აზრს, და თან დერე-  
 ფანში წარამარა დაბრაზუნობენ ეს წყეული ჩექ-  
 მები და გული გველევა: „ვაითუ ჩვენთან მოდიან!“  
 მაგრამ ახლა უკვე ყველა მოემზადა და შენ შე-  
 გიძლია გადასცე ამხანაგებს, ყველანი ვაჟკაცურად  
 არიან-თქო.

ხელის ბორკილები ახლა მომხსნეს, მაგრამ ფე-  
 ხებზე ხუნდები დამიტოვეს და ჯაჭვით მიმაბეს  
 ჩემს ამხანაგ ფერნანდოსთან, — იგი სალამს გიძღვ-  
 ნის. უერთმანეთოდ ახლა ბიჯის გადადგმაც კი  
 არ შეგვიძლია, ერთმანეთზე მიჯაჭვულებს გვძი-  
 ნავს კიდევ. ეს, რასაკვირველია, სისაძაგლედ მო-  
 გეჩვენება, მაგრამ შენ ხომ ამ შვიდი თვის განმავ-





ლობაში ჩემსავით არ შეჩვევიხარ „ნატიფ ევროპულ ცივილიზაციას“.

რითია აღსავეს ახლა ჩვენი ცხოვრება? ჩვენ ვლაპარაკობთ წარსულზე, მაგრამ ვლაპარაკობთ აგრეთვე მომავალზედაც, იმ ბრწყინვალე მომავალზე, რომელიც ახლოვდება და აუცილებლად დადგება. დღენიადაგ გვესმის: „ეჰ, ნეტავი შეიძლებოდეს იმ დღეებს მოვესწროთ, საკუთარი თვალებით დავინახოთ ყველაფერი“-ო! მაგრამ ყველას გვანუგეშებს ის აზრი, რომ არ დაგვივიწყებენ, რადგან ჩვენ ვმონაწილეობდით ამ მშვენიერი მომავლის შექმნაში...

მორჩა და გათავდა, მეგობარო... წიგნი დახურეს. მშვიდობით, ჩემო მომავალო, საყვარელო მომავალო, რომელზედაც ესოდენ ვიოცნებე პატიმრობის ხანგრძლივ თვეებში!.. რამდენჯერ დავიფიცე, რომ გაგაბედნიერებდი, კვლავინდებურად ვიმუშავებდი შენს გვერდით, უფრო მეტ დროს მოგანდომებდი, მუდამ და ყოველთვის ვიგრძნობდი შენი სიყვარულის სითბოს და შეეკმნიდით ნამდვილ ოჯახურ კერას, რომელიც ასე გვჭიროდა ჩვენ ორივეს; ვოცნებობდი, შეგვეძინებოდა ბავშვი და ვიცხოვრებდით მტკიცე სიყვარულით შეკავშირებული ორი არსება. იმდენი ტანჯვა გამო-



ვიარეთ და ისე ძვირად დაგვიჯდა ჩვენ ჩვენი ბედნიერება, რომ ვერაფერი ვერ დაარღვევდა მას.

მშვიდობით, გენაცვალე, მშვიდობით, ჩემო სიცოცხლე! გამხნევედი, მოერიე დარდსა და მწუხარებას. იმუშავე მთელი ძალღონით. უკვე შორს არაა ის დღე, როცა დაინახავ ბედნიერების მოვლვარე სხივებს და იტყვი, — რომ ყველაფერი შესწირე ჩვენი საქმის გამარჯვებას, შესწირე ის ადამიანიც, რომელიც იყო შენი ქმარი; შენ ჩამოხვალ ბრეტანში პატარა სასაფლაოზე შენი ლ...ს დასატირებლად.

მშვიდობით, იყავი ბედნიერი, მინდა, შემდეგში, როცა მწუხარება გაგივლის, აირჩიო ახალი ქმარი, პატიოსანი მუშა, შენი საკადრისი. ძნელია ჩემთვის ამის თქმა, რადგან ვეჭვიანობ, სიკვდილის წინათაც კი ვეჭვიანობ... მაგრამ შენ ღირსი ხარ ბედნიერების! და მეც გისურვებ ბედნიერებას სულითა და გულით.

ჩემი გამოსათხოვარი სალამი გადაეცი ყველა ამხანაგს, უთხარი იმათ, რომ გავამართლე მათი ნდობა და ვამაყოფ, ჩვენი ქვეყნისა და მუშათა კლასისათვის რომ ვკვდები.

ჩემი გამოსათხოვარი სალამი გადაეცი ყველა ჩვენს მეგობარს და იმ სახელოვან ქალს, რომელიც ჩვენი მეგობარი იყო და იმდენი რამ გააკე-



თა ჩემთვის, როცა ციხეში ვიჯექი, — ნურასოდეს  
 ნუ დაივიწყებ ამას, მაღლობა გადაეცი მას ჩემი  
 და შენი სახელით.

მშვიდობით, ძვირფასო მეუღლე, მშვიდობით,  
 ჩემო სიცოცხლე! გადაიკითხე ის საუცხოო წიგ-  
 ნები, რომლებიც შენ ჩემთვის შეარჩიე. რა აღტა-  
 ცებას იწვევდნენ ისინი ჩემში! როცა შენ ჩვენს  
 ძველ პარიზში დაბრუნდები, მიესალმე მას ჩემს  
 მაგივრად. ძლიერ მენანება მათი დატოვებაც!

გეხვევი, მაგრად გეხვევი, მთელის ძალღონით.  
 ჩემი უკანასკნელი ფიქრი შენ გეკუთვნის.

მომწერე თუნდ ერთი სიტყვა ოთხშაბათს. გა-  
 მომიგზავნე ყველაფერი, რაც ჩემთვის გაქვს დამ-  
 ზადებული, საჭმელი და თამბაქო.

მ. ლ.



# ანრი მარტელი



დეპუტატ-კომუნისტის მარტელას შვილი, ამხანაგებთან ერთად დახვრიტეს 1942 წლის 14 აპრილს. პატრიოტის ყველა ოცდაათი გამოსათხოვარი წერილი მოსპეს ნაცისტებმა. გადარჩა მხოლოდ ბარათი, რომლის გადაგზავნა მოახერხა ანრიმ მამისადმი. (დეპუტატ მარტელის მეორე შვილი აგრეთვე დახვრიტეს მამის პატიმრობის დროს).

ვიქნები შენსავით მამაცი, ვიქნები იმათი ღირსი, ვინც იტანჯება საპატიმროებში და კვდება ჩვენი იდეალის გამარჯვებისათვის.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი მსხვერპლის წყალობით ცოცხლად დარჩენილები და ყველა მომავალი თაობები ბედნიერნი იქნებიან. ჩვენ სწორი გზა ავირჩიეთ. მტკიცედ მწამს მომავალი...



# მორის პიროლები

მიემზრო საწინააღმდეგო მოძრაობას  
1942 წლის დამდეგს. იყო ფრანტირერ-  
თა და პარტიზანთა რაზმის სერჟანტი,  
დააპატიმრეს 1943 წლის 22 აგვისტოს.

ფრენის საპატიმრო, 1943 წლის 6 ოქტომბერი

ძვირფასო მეუღლე, ძვირფასო იუგე-  
ტა და ძვირფასო დედავ!

გწერთ უკანასკნელ წერილს. ჩემს წასაყვანად  
ოთხ საათზე მოვლენ. იმედი მაქვს, იქნებით ჩემ-  
სავით მამაცნი.

იმედი მაქვს, აგრეთვე, ძვირფასო შარლოტა,  
იზრუნებ ჩვენს საყვარელ ქალიშვილზე. შემდგომ-  
ში უთხარი: მამამისი მოკვდა, როგორც შეჭფე-  
რის ნამდვილ კომუნისტს, რადგან მე ვკვდები  
კმაყოფილი იმით, რომ ვემსახურებოდი ასეთ დიდ  
საქმეს. ძალიან გთხოვ: უფრო ალერსიანად მოექ-  
ცე ჩემს მოხუც დედას, ანუეგემე იგი.

გემშვიდობებით ყველას.

მორის პიროლები





გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

\* \* \*

1943 წლის 6 ოქტომბერი.

სიკვდილით დასჯამდე ორი საათით ადრე.

ყველა ამხანაგს!

გწერთ უკანასკნელ წერილს დახვრეტის წინ. მინდა გითხრათ, კმაყოფილი ვარ იმით, რომ ვკვდები სამშობლოს გათავისუფლებისათვის. იყავით სახელოვანი მებრძოლები განმათავისუფლებელ ბრძოლაში. დაე ჩვენმა საქმემ გაიმარჯვოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

მივდივარ რა თქვენგან, გეუბნებით ყველას — მშვიდობით, იყავით მამაცნი.

თქვენი ამხანაგი, კომუნისტი.

მორის პიროლდე






საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილე  
1942 წლის მარტიდან; გილიოტინით თავი  
მოკვეთეს ნიმში 1943 წლის 22 აპრილს.

ნიმი, 1943 წლის 31 მარტი

ძვირფასო ბაბუა და ბებია!  
ძვირფასო მეგობრებო!

ეს წერილი არ უნდა მომეწერა თქვენთვის, გული გეტკინებათ, მაგრამ სულერთია — ადრე თუ გვიან გაიგებთ სამწუხარო ამბავს, ასე რომ გადავწყვიტე მოგწეროთ იმ იმედით, რომ ჩემი წერილი მაინც გაგახარებთ... თუ შეიძლება აქ ამ სიტყვის ხმარება. გთხოვთ, ძლიერ ნუ იღარდებთ, რომ მე სასიკვდილო განაჩენი გამოძიტანეს; იყავით მამაცნი. თქვენ ხომ იცით, თუ რა არის ჩვენი მოვალეობა, ამიტომ იმუშავეთ ჩვენი საერთო საქმისათვის.

ძვირფასო ბაბუა და ბებია, ნუ ინალღვლებთ ჩემზე, შეგიძლიათ იამაყოთ, რომ მარგარიტას ახალგაზრდა ქმარი მოკვდა სამშობლოსათვის, თავისუფ-



ლებისათვის, თავისი დიადი იდეალისათვის. გყვარდეთ მარგარიტა და ჟან-კლოდი, ანებივრეთ ისინი. მარგარიტა ხომ ძლიერ უბედურია, იგი ნელ-ნელა დასძლევს მწუხარებას, რადგან მასთან იქნება ჩვენი პატარა ჟან-კლოდი, რომლის შეხედვამ არ შეიძლება გული არ გაგიხაროს. დრო გავა და მარგარიტას გული მოუჩრება...

ხშირად ვიგონებდი ნათესავებთან და მეგობრებთან სოფლად გატარებულ დღეებს. რა კარგი დღეები იყო! როგორი საყვარელი და კარგები იყავით ყველანი! ამ შავბნელ წუთებში როგორი შვება მოაქვთ მოგონებებს.

მაგრამ ყველაფერსა აქვს ბოლო, ხანდახან, შეიძლება, ნაადრევიც იყოს იგი: ისე მოხდა, ვერ მოვახერხე ცხოვრების ყველა სიამის შეცნობა, ცხოვრება კი საუცხოო იქნება, როცა ჩვენს ქვეყანას ბოლოს და ბოლოს, ბედნიერება ეღირსება.

და მე მაინც ერთი რამ ვიცი, — სწორი გზა ავირჩიე, გზა, — მიმავალი ყველა ხალხთა ბედნიერებისაკენ. ისინი ერთ ოჯახად გაერთიანდებიან.

ეს გზა გრძელია და ძნელი, ბევრი ჩვენი ამხანაგი დაიღუპა, მრავალი კიდევ დაიღუპება; მაგრამ უკვე ახლოა შურისძიების დღე, და საფრანგეთის დიდებული ხალხი უკანასკნელ ადგილს როდი დაიჭერს გამათავისუფლებელ ბრძოლაში.



ამ დღეს მოგვიგონეთ ჩვენ ყველანი, რომლებიც დავიღუპეთ და ვერ მოვესწარიტ ნათელ დროს, მაგრამ ვიცოდით, რომ იგი შორს არ იყო, და მთელი ჩვენი ძალღონე შევაღიეთ მის დასაჩქარებლად. ჩვენ გვწამს, რომ მტრისაგან სიკვდილით დასჯილი რამდენიმე ფრანგის შესაცვლელად დაირაზმებიან ასობით, ათასობით პატრიოტები, რათა განაგრძონ ყველა ქვეყნისათვის თავისუფლების და ყველა ხალხისათვის ბედნიერების მომტანი ბრძოლა.

გწამდეთ გამარჯვება, იგი აქ არის, სულ ახლოს!

რამდენიმე სიტყვაც ჩემზე: ფიზიკურადაც და მორალურადაც ცუდად არ ვგრძნობ თავს, თუმცა, რასაკვირველია, აქაური რეჟიმის გამო იტანჯება სულიც და ხორციც.

მთელი დღე და ღამე გუშაგები მითვალთვალებენ. ვზივარ ბნელ საკანში, უკანასკნელ ავაზაკივით მძიმედ ხელფეხშებორკილი.

მიუხედავად ჯალათთა მთელი სისასტიკისა, მე და ჩემი მეგობარი სულით არ დავცემულვართ. მარტოოდენ სიკვდილი მოუღებს ბოლოს ჩვენს ვაჟკაცობას, ჩააქრობს ჩვენს ცეცხლს. შეუძლებელია პატრიოტის, კომუნისტის სიმტკიცის შერყევა. რა კმაყოფილნი იქნებოდნენ კაპიტულან-



ტები და გამცემლები, ჩვენ რომ სუსტნი აღმოგჩენილიყავით. ამოდ ნუ იიმედებენ თავს. მათ ამ სიხარულს არ მივანიჭებთ. მათი ჯერიც მალე მოვა და თქვენ დაინახავთ, როგორ ათრთოლდებიან ეს არამზადები.

მაშ ასე, ჩემო ნათესაებო და მეგობრებო, სამუდამოდ გშორდებით. სიკვდილის ჟამს თქვენზე ვიფიქრებ. მამაცობა და იმედი — ასეთი იყო ჩვენი ლოზუნგი, დაე ის გახდეს თქვენი ლოზუნგიც.

მაგრად და მთელი სულითა და გულით გეხვევით.

ჟანი






ბრეტონელი მუშა; დახვრიტეს 1943  
წლის ივნისში.

ძვირფასო გაბი, ძვირფასო ბავშვებო,  
ძვირფასო მშობლებო!

ჩემო საყვარელო გაბი, შენ დიდი განსაცდელი უნდა გადაიტანო. დღეს დილით სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს. გულახდილად გეტყვი: როცა განაჩენს გვიკითხავდნენ, წარბიც არ შემიხრია — დამპყრობლებისაგან ხომ არავითარ შეწყალებას არ ველოდი და კმაყოფილი ვარ, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩემი წილიც რომ ურევია. მაგრამ, როცა ისევ საკანში დამაბრუნეს, სულ ვფიქრობდი ჩვენს ბავშვებზე, ვფიქრობდი იმაზე, რომ უმწეოდ გტოვებთ ამ მძაფრ გრიგალში. და როგორც კი გავიფიქრებ, გაბი, რომ მარტოდმარტო დარჩები ოცდაათხი წლის ქალი, თავზარი მეცემა. მაგრამ გამაგრდი, გამხნევდი, უკეთესი დღეები დადგება, ბედნიერება შენც გაგიღიმებს. შენ ახალგაზრდა ხარ, გაბი, და თუ მოისურვებ, შეიძლება



ოჯახის ახლებურად მოწყობას. მხოლოდ ამას  
გთხოვ: ქმრად აირჩიე კომუნისტი, ამხანაგი, რომ  
შენი ცხოვრება არ შეიცვალოს. თუმცა მოიქეც  
ისე, როგორც გინდოდეს. ვიცი, კარგად მომი-  
გონებ.


მე მიყვარდი, გაბი, ჩვენი ერთად გატარებული  
7 წლის მანძილზე დავრწმუნდი, ერთმანეთის შე-  
საფერნი ვიყავით. მხოლოდ ბედმა არ დაგვინდო.  
შენზე უკეთეს მეგობარს ვერაფრით ვერ მოვნა-  
ხავდი. ვიბრძოდი და ვკვდები საერთო საქმისა-  
თვის, მაგრამ იცოდე, მუდამ შენზე ვფიქრობდი,  
მინდოდა შემექმნა შენთვის უკეთესი მომავალი.  
რა გაეწყობა, გზა გადაგვიღობეს არამზადებმა!  
ჩემო საბრალო გაბი, რა უბედური ხარ! ბავშვო-  
ბიდანვე ობოლი იყავი, ახლაც მარტოკა დარჩები  
ორი შვილით. მაგრამ, გაბი, იყავი შეუღრეკელი,  
იყავი ჩემი ღირსი, — შენ მიხვდები რისი თქმაც  
მინდა. თუმცა ამ საკითხში მთლიანად შენი იმედი  
მაქვს. ვიცი, დადგნენ შენთვის მწარე დღეები,  
მაგრამ ყველაფერი კარგად ასწონ-დასწონე. ასეა  
საჭირო! ჩემი ოჯახის იმედი მაქვს, იგი ყოველ-  
მხრივ დაგეხმარება.

შვილებიდან მამა მხოლოდ უფროსს, პიერეტას,  
ემახსოვრება. გაბი, უფრო ხშირად მოუყევი მათ  
ჩემი ამბები. როგორც კი წამოიზრდებიან და ქკუა-



ში შევლენ, ხშირად ელაპარაკე ცხოვრებაზე —  
თუ რაოდენი სიხარულია ცხოვრებაში, ან რან-  
დენი მახე. ეცადე გამოაწრთო ისინი საკუთარი  
ბედის კარებთან. როგორ მინდოდა აღმეზარდა  
ისინი, გამომეყვანა მათგან პატიოსანი ადამიანები  
და მოქალაქენი. ისე აღზარდე პიერეტა, რომ მის-  
გან გამოვიდეს მედგარი, მტკიცე ხასიათის ქალი.  
თუ სწავლის ნიჭი აქვს, დაე დაამთავროს სკოლა,  
თუ არა და, შეასწავლე მას რაიმე ხელობა, და-  
გეხმაროს. გახსოვს, გაბი, გეუბნებოდი, აი წამო-  
იზრდება ჩვენი გოგონა და საცეკვაოდ წავიყვან-  
მეთქი? ამის მოგონება გულს მიკლავს. ხოლო როცა  
პიერეტა წამოიზრდება, უამბე მას, თუ ვინ იყო  
მამამისი და რისთვის მოკვდა იგი. ნუ გეშინია,  
გაბი, უთხარი მთელი სიმართლე, დაე იცოდეს  
ყველაფერი, რადგან მტკიცედ მჯერა ამ თაობის,—  
მისი დახმარებით გაიმარჯვებს კომუნისტთა დი-  
ადი ოჯახის სახელოვანი ღროშა. ნება მიეცი პი-  
ერს თავისუფლად აირჩიოს თავისი გზა, მაგრამ  
უხელმძღვანელე, დაეხმარე გონივრული რჩევა-და-  
რიგებებით. არ მინდა თავს მოგახვიო ჩემი შეხე-  
დულებები, ჩემი რწმენა, მაგრამ ხომ იცი, ჩემი  
გეგმები და იმედი მაქვს, შეასრულებ.

ჩემი მშვენიერი ბავშვები აკვნიდანვე გამოცდიან  
გაჭირვებასა და ვაი-ვაგლახს. მაგრამ, გაბი, შენ



არ გამიჯავრდები, შენ ხომ იცოდი, სამართლიანი საქმისათვის, ჩვენი გამარჯვებისათვის რომ ვიბრძოდი. რაც შეეხება ჩემს დახვრეტას, სულ ვკითხულობ: ეს სიზმარი ხომ არაა-მეთქი? არაფრით არ შემიძლია ნამდვილად წარმოვიდგინო ის საშინელი წუთი, რომელიც მალე დადგება, თუმცა მართალი რომ სთქვას კაცმა, უკვე დიდი ხანია მოვემზადე ამისათვის.

ჩვენი გასამართლება კი სწრაფად ჩაათოხარიკეს: ცამეტი ბრალდებული ვიყავით და ცამეტივემ მიიღო განაჩენი ერთადერთ სხდომაზე, თუმცა ჩვენს შორის იყვნენ ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ამხანაგებიც. შეგიძლია დამიჯერო, მოსამართლეებმა ვერაფერი გვათქმევინეს და რამდენიც არ ეცადნენ — ვერ დაგვაფრთხეს, — სულ პირიქით მოხდა! დაგვინიშნეს დამცველი, მაგრამ ეს უკვე ნამდვილი კომედია გამოვიდა! ვფიქრობ ის ვალდებულია მოგწეროს განაჩენის შესახებ; არ გაბრიყვდე, არ იფიქრო მისთვის ფულის მიცემა.

ხომ ხედავ, გაბი, სულით მხნედ ვარ, და, თუმცა ჯანმრთელობა მლალატობს, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ, ან რად უნდა ვიწუწუნო? ამით ხომ ვერაფერს შევცვლი.

ჯერ კიდევ არ ვიცი, როდის გამიყვანენ და-





სახვრეტად, მაგრამ ნუ იღარღებ, გაბი, ჟიულთან ერთად ვიქნები და ერთადვე წავალთ, როგორც შეჭფერის არამხადებისაგან გაცემულ პატიოსან ადამიანებს, ოჯახის მამებს. შემდეგ, როცა ყველაფერი მოგვარდება, შენც იტყვი შენს სიტყვას, — შეუძლებელია დაუსჯელად დარჩნენ პოლიციის კომისრები ანჟერის ბრიგადიდან, რომლებმაც გადამცეს გესტაპოს. და კიდევ აცნობე ამხანაგებს იმ ქალის უცნაური, მეტად საეჭვო საქციელი. ის დააპატიმრეს, მაგრამ მას არაკითარი ბრალდება არ წაუყენეს. ეს ისტორია უნდა გამოაშკარავდეს. ჩემს შესახებ კი შეგიძლია უთხრა ამხანაგებს; საკუთარ თავთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, დამშვიდებული სინდისით ვკვდები, და თუ ოდესმე განიზრახავენ ჩემზე ცუდის თქმას, აჩვენე ხალხს ჩემი უკანასკნელი წერილი, — არ მინდა ჩემი ხსოვნა შებილწოს ვინმემ.

იცი, გაბი, სანამ თქვენ სამუდამოდ დაგშორდებოდეთ, მინდოდა შინიდან მცირე ამანათი მიმეღო. უკანასკნელად გამესინჯა შენგან დამზადებული რაიმე ნამცხვარი მაინც. მართლაც, სასიამოვნო იქნებოდა...

არ მინდა ისე ჩავიდე სამარეში, რომ არ გამოვეთხოვო შარლს, ტიტინას, ანრის, ფრანსუას, ივას, ჟენესა და რენეს. მოიკითხე ჩემს მაგივრად





ისინი. მინდოდა მომეწერნა მათთვის გამოსათხოვარი სიტყვები, მაგრამ ნებას არ დამრთავენ; ამიტომ გავალეებ, გადაეცი მათ ჩემი გამოსათხოვარი სალამი. და ყველა ჩემს ამხანაგს სახელოსნოდან გადაეცი სალამი; დარწმუნებული ვარ, ისინი კარგად მომიგონებენ. თუ ალბერს შეხვდე, გადაეცი ჩემი ძმური სალამი და თუ ჩემზე უფრო გაუღიმოს ბედმა, დაე რაც შეიძლება რიგიანად გამოიკვლიოს ჩვენი დაპატიმრების საქმე.

კინალამ დამავიწყდა — მომიკითხე მარისა და მიროს მთელი ჯალაბობა, ბიჭუნა ლუი, ჟორჟი, ფანშ ელუ, შარლ ტეო, — ერთი სიტყვით მთელი სახელოვანი რაზმეული. რას შვრება ჩემი ბიძაშვილი ლიუსიენი? იმედი ვიქონიოთ, ის ჩემზე ბედნიერი აღმოჩნდება.

ძმური სალამი ყველა ნათესავს და მეგობარს. მაგრად გკოცნი. მშვიდობით...

\* \* \*

ძვირფასო მშობლებო!

ჩემს უკანასკნელ წერილში კვლავ მადლობას გწირავთ ჩემდამი მზრუნველობისათვის, ყველაფერ იმისათვის, რაც თქვენ, ჩემთვის გაიღეთ. ვიცი ამას სიყვარულით აკეთებდით. ოდესღაც დედამ ჩემზე სთქვა, მარტოდენ მწუხარება შეგვახვედ-



რაო. მართალია. მაგრამ როცა გაიგებთ, თუ რისთვის ვიბრძოდი, თქვენ იამაყებთ ჩემით.

ძლიერ მაწუხებს ფიქრი, — რომ თქვენს ანაბარად რჩება ჩემი ოჯახი. ჟანი და ლუი შინ რომ ყოფილიყვნენ, ადვილი იქნებოდა ყველაფერი, მაგრამ ვაი, რომ ისინიც აგრეავე შორს არიან. მამავ, ვიცი, შენი იმედი უნდა მქონდეს, მაგრამ შენ სიბერე შეგეპარა, მასთან კიდევ ეს უბედურება გეწვია, რა თავზარი იქნება შენთვის. გაუძლებ კი? რითიც შეიძლოთ, დაეხმარეთ გაბის მის ახალ, მარტოხელა ცხოვრებაში. რჩევა-დარიგებითაც დაეხმარეთ, აღზარდეთ ჩემი პატარები ისე, როგორც მე მინდოდა მათი აღზრდა. შემდეგში, როცა ყველაფერი დაწყნარდეს, დაეხმარეთ გაბის კვლავ მოაწყოს ოჯახური ცხოვრება, რასაკვირველია, თუ იგი ამას მოისურვებს. ღვიძლი შვილივით გიყვარდეთ იგი, ამის ღირსია იგი კეთილი და ვაჟკაცური გულისათვის. რასაკვირველია, მას გააჩნია ნაკლიც, მაგრამ ვის არა აქვს ნაკლი ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე? ძვირფასო დედი, გვედრები, უოველთვის ეცადე, გაუგო გაბის, იცხოვრეთ მასთან თანხმობით, — ესაა ჩემი ყველაზე უდიდესი სურვილი. სიკვდილზე კი სრულიადაც არ ვფიქრობ. მაგრამ იმედი მაქვს (ამას უნდა მი-აღწიოთ), ჩემს ცხედარს მოგკემენ და დამასაფ-



ლავით ჩვენი საბრალო ნენის გვერდით. ჩემს ტანისამოსსა და თეთრეულს საპატიმროდან გადმოგიგზავნიან; ყველაფერი ჩემოდანში ჩავალაგე, ზევიდან დავაკარი პალტო და საწვიმარი, — ისინი ჯერ კიდევ მთელია და გამოგადგებათ.

როგორც ხედავ, ღედი, შენი შვილი მაგრად არის! შენც მხნედ იყავი, ჩემო ძვირფასო. რასაკვირველია, სამწუხარო იქნება შენთვის, მაგრამ უნდა გაუძლო ამას. არ ვფიქრობდი, რომ ოცდაშვიდი წლისა მოვკვდებოდი, მაგრამ რას იზამ. სამაგიეროდ ჩემი სიცოცხლე შევწირე ისეთ იდეებს, რომელნიც თქვენც, ჩემო ძვირფასო მოხუცებო, მოგიტანთ სიხარულს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ჩემო საყვარელო მშობლებო, თქვენ არასოდეს არ გიფიქრიათ, რომ თქვენს შვილს ოდესმე დახვრეტდნენ, მაგრამ იცოდეთ, კარგად დაიხსომეთ და უთხარით ყველა ჩემს ამხანაგს, ყველა ჩვენს მეზობელს, რომ სიკვდილს გაბედულად, ქედმოუხრელად შევხვდები, იმის შეგნებით, რომ ვმუშაობდი კომუნიზმისათვის და საფრანგეთის გადარჩენისათვის.

იმედი მაქვს, ოფიციალურად დამრთავენ ნებას, გამოგიგზავნოთ გამოსათხოვარი წერილი, და მაშინ კიდევ მოგწერთ, — თუმცა ვაუბატონ ოკუპან-



ტების იმედი არაფერში არ უნდა ჰქონდეს კაცს, და ამიტომ უმჯობესია წინასწარ გამოგეთხოვოთ.

ახლა კი რამდენიმე სიტყვას მივწერ ნათესაებს. ყველა შვილებიდან ახლა თქვენს ახლოს მხოლოდ ფრანსუა არის, მაშ მანაც იცოდეს, რომ მისი საყვარელი ძმა მოკვდება დიდი საერთო საქმისათვის, მუშათა კლასის უკეთესი მომავლისათვის. გადაეცი სალამი და მოკითხვა ჟანეტას, ანიკას, ჟან-პიერსა და ფრანსუას. ხოლო ჟანსა და ლუის, როცა საშუალება გექნეთ, აცნობეთ საშინელი ამბავი. როგორ ბინდოდა შორეთში გამგზავრებამდე მენახა ისინი, იმათ ხომ ყველაზე უკეთ იციან ჩვენი მოძრაობის სიდიადე. ჩემო ძვირფასებო, ისინი ველაო იხილავენ თავიანთ უმცროს ძმას, მაგრამ, როცა დაბრუნდებიან და მოინახულებენ ჩემს სამარეს, დაე, თავიანთი თავის სანუგეშოდ გაიხსენონ, რომ მე შევასრულე ჩემი მოვალეობა.

აღზის ვკოცნი პოლეტას, ივონას, ლუის, ჩემს ნათლულს შიშელს, პოლს, ჟანინას და ახლადდაბადებულ გოგონას, რომლის გაცნობა არ მეღირსა. ბიძას, ბიცოლას და ბიძაშვილებს ვმადლობ ჩემი ოჯახისადმი დახმარებისა და მზრუნველობისათვის. ნუ დაივიწყებთ გადასცეთ ჩემგან მხურვალე სალამი ბიცოლა გილიემეტას, ჩემს ნათლულ ივას,



ლორენს, ლეონს, შიშის, სილოს, გაბის, რეონტა,  
 მონიკას, ჟან-ნოელს. გულითად სალამს ვუძღვნი ბი-  
 ძაშვილ გილიომს, მის ცოლს და, რასაკვირველია,  
 პაპა ლიუსინს.

ერთხელ კიდევ გმადლობთ ყველაფრისათვის.  
 მშვიდობით. შეინარჩუნეთ მინეობა და რწმენა  
 მომავლისადმი.

გაუმარჯოს საფრანგეთს!  
 გაუმარჯოს კომუნისტთა დიდ მოჯახს!





საქართველოს  
წიგნების კავშირი



# ე. ლ. შ ა მ კ ი რ ი

ფრანტირერთა და პარტიზანთა ორგანიზაციის ერთერთი პირველი მებრძოლთაგანი; დააპატიმრეს 1942 წლის 11 ივლისს და მხეცურად წამების შემდეგ 19 სექტემბერს დახვრიტეს ისი-ლემული-ნოში.

1942 წლის 18 სექტემბერი

## ჩემო საყვარელო!

ანიტა, ჩემო ძვირფასო. დღეს შესრულდა სამი წელი ჩვენი შეხვედრის დღიდან. გახსოვს, როგორ დარდობდი, როცა დასტოვე ესპანეთი და ყველა შენი ნათესავი და ახლობელი. მაპატიე ჩემი სიყვარულისათვის, რომელმაც მოიცილა მთელი ჩემი სული, მაგრამ შენ მარტოოდენ მწუხარება მოგიტანა. ვკვდები ბედნიერი, რადგან ვიცი: შენც გიყვარვარ, თუმცა არ დამრთავენ ნებას უკანასკნელად გავიგონო ეს სიტყვები შენი პირიდან. ნებას არ მომცემენ აგრეთვე გავიგონო სიტყვა „მამა“, რომელიც ყოველთვის ესოდენ სიხარულს



მანიჭებდა, როცა მას წარმოსთქვამდა ჩვენი ბიჭუნა ჯეკი.

ხომ იცი, არა ვარ დამნაშავე იმაში, რომ ვერ მოვახერხე დაპირებისამებრ შემექმნა შენტვის კეთილი ცხოვრება და ბედნიერება, მათ მოსაპოებლად საჭიროა ბრძოლა, ხოლო ბრძოლა მოითხოვს მსხვერპლს.

მე გავიღე ეს მსხვერპლი შენი გულისთვის და ჩვენი შვილის ბრწყინვალე მომავლისათვის; შენ თვითონ იცი, ყველაფერი მტკიცედ უნდა გადაიტანო.

შენთან დარჩება ჩვენი ბიჭუნას სიყვარული, და ეს თანდათან ამოავსებს შენს გულში ჩემი სიკვდილით დატოვებულ სიცალიერეს. ჩვენს შვილში იცოცხლებს ჩემი შენდამი სიყვარული — ყველაზე დიდი, ყველაზე მშვენიერი, რაც იყო ჩემს სიცოცხლეში, თუმცა ხანდახან სურვილისამებრ ვერ ვახერხებდი ჩემი დიდი და ჭეშმარიტი სიყვარულის გამოთქმას.

შენ გულადად და შეუდრეკად უნდა ატარო შენი უკანასკნელი მწუხარება. დარწმუნებული ვარ, შენი ძმა მეორე მამობას გაუწევს ჩვენს ბავშვს; ჩემი ოჯახიც ხელს შეგიწყობს. უკვე შორს არაა ნათელი დღეები, უკვე ამ სისხლისმღვრელი ომის აღმურში, რომელსაც ეწირება ჩემი სიცოცხლეც.

ციაგებს განთიადი, იგი ენთება ყველგან, დასაყ-  
ლეთშიც და აღმოსავლეთშიც, სამხრეთშიც და  
ჩრდილოეთშიც.


დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი არ იქნება და-  
ვიწყებული, როგორც არ იქნებიან დავიწყებულნი  
ყველაზე დიადი საქმისათვის, ყველაზე დიადი და  
მშვენიერი იდეალისათვის ბრძოლაში დაღუპულთა  
შვილები. მეც ხომ ამ ბრძოლისა და იდეალის  
ერთგული ვიყავი ბოლომდე.

გკვდები ამის შეგნებით, რომ პატიოსნად ვიმუ-  
შავე ჩვენი შვილების მოქალისათვის, მთელი  
მშრომელი კაცობრიობის მომავლისათვის, პროგ-  
რესისათვის; ვიბრძოდი ბარბაროსობისა და მო-  
ნობის წინააღმდეგ. ეს ანუგეშებს ადამიანს მაში-  
ნაც კი, როცა ჰკარგავს უაღრესად საყვარელ ადა-  
მიანს, შენ ხომ მხურვალედ გიყვარდი, ანიტა, ხომ  
სწორია?

იყავი ამჟამადაც და მუდამ მტკიცე ადამიანი, და-  
შითმე ერთი პატარა კუნჭული შენს გულში ჩვენი  
შვილის გვერდით.

მუდამ გახსოვდეს დიდი პასიონარიას სიტყვები:  
ჩვენი შვილი იცხოვრებს ქედმოუხოელ, თავისუ-  
ფალ და ბედნიერ ადამიანად. მაშასადამე, მამა-  
მისის მსხვერპლს ფუჭად არ ჩაუვლია.

შენ თვითონ ცოტა როდი იტანჯე მას შემდეგ.



რაც შენს სამშობლოში ომი დაიწყო, ათიქში მთელი შენი ახალგაზრდობა მსავერპლად გაიღო. შენი ტანჯვა, ჩემო ანიტა, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ მალე კი დამთავრდება.

უნდა იცხოვრო ჩვენი ჯეკის გულისათვის და ვახადო ის ადამიანი. სწორედ დღეს ნაშუადღევს სამ საათზე მას ერთი წელი და ოთხი თვე შეუსრულდა. რამდენი ნათელი მოგონება აღმიძრა ამ წუთებში!

სიყვარულო ჩემო, ომის შემდეგ, რასაკვირველია, დაბრუნდები სამშობლოში, ესპანეთში; ასეთია აგრეთვე ჩემი სურვილიც, შენ ხომ ასე მოკლებული ხარ მზესა და სითბოს, ყველაფერ იმას, რაც შენ გქონდა შენი ბედნიერების დღეებში. სანამ არ დაიწყო გატანჯული ცხოვრება.

მაგრამ მე მაინც მინდა, რომ ჩვენმა ჯეკმა არ დაივიწყოს საფრანგეთი, ის მიწა, სადაც ხვალ ჩაწვება მამამისი. დაე შეისწავლოს ფრანგული ენა ბავშვობიდანვე, დაე შეისწავლოს საფრანგეთის სიყვარული, ის ხომ რუსეთთან და ესპანეთთან ერთად მამამისის სამშობლო იყო.

რა იქნება იგი? ძნელია მარჩიელობა. მაგრამ მტკიცედ მჯერა, იგი გაიზრდება ჭკვიანი და კარგი ადამიანი, იგი გაყვება დედისა და მეორე მამის — ალფონსის რჩევა-დარიგებას, და მაშინ იგი



იქნება ახალი ქვეყნის, ზვალინდელი ქვეყნის ტიური მშენებელი და შემოქმედი.

ძვირფასო, ჩვენს მატერიალურ საქმეებს შენ ჩემზე უკეთ იცნობ. ჩვენგან შეძენილი ავეჯი ბევრი არაფერი ღირს; თუ გადასწყვეტ თქვენებთან — დედასა და ძმასთან — ცხოვრებას, — გაყიდე იგი და მოეწყვეთ, როგორც გიჯობდეთ. ჩემს ქაღალდებში 2800 ფრანკია, შენ უნდა დაგიბრუნონ ეს ფული. განცხადება შეიტანე ტრიბუნალში. ეს არის ყველაფერი, რაც ჩვენ გაგვაჩნია. ჩემი სიმდიდრე მხოლოდ ჩვენი სიყვარული და ჩვენი საქმე იყო.

ჩემო ანიტა და ჩემო ძვირფასო შვილო, ყველაზე მეტად მიყვარხართ ამ ქვეყანაზე.

მშვიდობით, ჩემო საყვარელნო, უკანასკნელ წუთებში ჩემს ფიქრებში იქნებით თქვენ, იქნება ჩემი სამშობლო, იქნება ჩემი დიადი იდეალები.

ე. ლ. შამპონი





შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
წინასიტყვაობა . . . . .	3
პიერ სემარი . . . . .	9
გაბრიელ პერი . . . . .	10
ანდრე რეზიერი . . . . .	12
ჟულიენ აპიო . . . . .	22
ჟან ალფხარი . . . . .	28
რობერ ამელი . . . . .	31
ჟაკ დეკური (დეკურდემანში)	37
ჟოზეფ დელობელი . . . . .	39
როლან დელვალი . . . . .	45
ანდრე დელმა . . . . .	46
ანდრე დიეზი . . . . .	48
ანდრე დიურანი . . . . .	52
ფელისიენ ჟოლი . . . . .	56
ეჟენ კა . . . . .	60
დ კამფენი . . . . .	64
ლუი კარონი . . . . .	71
ეჟენ კლოტრიე . . . . .	73



საქართველოს  
საქართველოს

89  
ქს

მორის ლაცაბეტის	89
ანრი მარტელი	96
მორის პიროდუი	97
ყან რობერი	99
პიერ ს.	103
ე. ლ. შამპონი	113



რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე

ბეღმთწერილია დასაბეჭდად 30/IX-49 წ. უე 05137.  
შეკვეთის № 880. ტირაჟი 10 000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან აღსწებულ პო-  
ლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა სამმართველოს  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი თბილისი,  
მარჯაბაიშვილის ქ., № 5.

Комбинат печати Управления по делам Полиграфии и  
Издательств при Совете Министров Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

8560 2 855.



**Письма расстрелянных  
французских коммунистов**  
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР  
Тбилиси—1949